პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 184 (10270) | პარასკევი, 5 აგვისტო, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

გუშინ, 4 აგვისტოს, კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები აქ შეიკრიბნენ, რათა მოისმინონ და განიხილონ საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მოხსენება ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების 18-23 ივლისს ჟენევაში შემდგარი თათბირის შედეგების შესახებ.

სესიის გახსნას დაესწრო მრავალი სტუმარი — მუშები და მოსამსახურეები, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეები, საბჭოთა არმიის მეომრები, საზოგადო მოღვაწეები.

ლოჟებში არიან დიპლომატიური კორპუსის წევრები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

დღის სამი საათია. პრეზიდიუმის მაგიდასთან ადგილებს იკავებენ კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი, კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ნ. ტ. კალჩენკო, ა. ა. ლებედევი, ვ. პ. მჟავანაძე, ზ. ს. ომაროვა**, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ნ. ე. ავხიმოვიჩი, პ. ტ. კომაროვი, მ. მ. სულთანოვა, პ. გ. ტიჩინა.**

ლოჟებში არიან უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები. აქვე ადგილებს იკავებენ იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაციის წევრები.

დეპუტატები და სტუმრები ფეხზე დგებიან და მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით მიესალმებიან ამხანაგებს **ნ. ა. ბულგანინს, კ. ე. ვოროშილოვს, ლ. მ. კაგანოვიჩს, ა. ი. კირიჩენკოს, გ. მ. მალენკოვს, ა. ი. მიქოიანს, ვ. მ. მოლოტოვს, მ. გ. პერვუხინს, მ. ა. სუსლოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ა. ბ. არისტოვს, ნ. ი. ბელიაევს, პ. ნ. პოსპელოვს, დ. ტ. შეპილოვს.**

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომის თავმჯდომარე კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ა. პ. ვოლკოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიას გახსნილად აცხადებს. იგი აცხადებს, რომ სხდომას ესწრება იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით. დელეგაციას მეთაურობს ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის კრების თავმჯდომარე ვლადიმერ ბაკარიჩი.

— ნება მიბოძეთ, — ამბობს ა. პ. ვოლკოვი, — თქვენი სახელით მივესალმო ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ ძვირფას სტუმრებს.

დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ამ სიტყვებს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს წარუდგინა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის მოხსენება ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგების შესახებ და წინადადება შეაქვს შეტანილ იქნას სესიის დღის წესრიგში საკითხი თათბირის შედეგების შესახებ. დეპუტატი კ. ტ. მაზუროვი კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს უხუცესთა საბჭოს დავალებით მხარს უჭერს ამ წინადადებას, მას შეაქვს წინადადება, რომ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მოხსენება მოისმინოს 4 აგვისტოს, ხოლო მოხსენების განხილვა დაიწყოს ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე 5 აგვისტოს დილით.

სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი მიღებულია ერთხმად.

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგების შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინს. დარბაზში მყოფნი ფეხზე დგებიან და მქუხარე ოვაციას უმართავენ ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს.

სესიის მონაწილეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს საბჭოთა მთავრობის მეთაურის მოხსენება, რომელშიც მან დაახასიათა ჟენევის თათბირის წინ შექმნილი საერთაშორისო ვითარება, აღნიშნა ის ფაქტორები, რომლებმაც საერთაშორისო დაძაბულობის ერთგვარი შენელება გამოიწვიეს და ამით ხელსაყრელი პირობები შექმნეს ჟენევაში თათბირის მოსაწყობად. ამხ. ნ. ა. ბულგანინმა დაწვრილებით ილაპარაკა ჟენევის თათბირის მსვლელობასა და საბჭოთა მთავრობის წინადადებებზე, რომლებიც ამ თათბირზე შეტანილ იქნა მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების შეთანხმებული გადაჭრისა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით.

დაახასიათა რა ჟენევის თათბირის შედეგები, ნ. ა. ბულგანინმა ცხადყო, რომ ამ თათბირს დადებითი შედეგები მოჰყვა მშვიდობის საქმისათვის.

— მაგრამ, — განაცხადა მან, — ჩვენ კვლავ უნდა ვეძებოთ მოუწესრიგებელი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის გზები, და ამ თვალსაზრისით ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალ თათბირს ოქტომბერში დიდი მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა იმედი გამოთქვა, რომ თუ საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალი თათბირის ყველა მონაწილე ისეთსავე მისწრაფებას გამოიჩენს თანამშრომლობისადმი და შეთანხმების მიღწევისადმი, როგორიც ახასიათებდა იმ ატმოსფეროს, რომელიც მთავრობათა მეთაურების შეხვედრაზე სუფევდა, ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები წარმატებას მიაღწევენ გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგების საქმეში. საბჭოთა მთავრობა თავის მხრივ ყოველ ღონეს იხმარს, რათა მომავალ შეხვედრაზე ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა წარმატებით გადაწყვიტონ მათ წინაშე დასახული ამოცანები.

დასასრულ ნ. ა. ბულგანინმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა კვლავაც განუხრელად განახორციელებს პოლიტიკას, რომლის მიზანია საერთაშორისო ვითარებაში დაძაბულობის შემდგომი შენელება, იბრძოლებს მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის.

საბჭოთა ხალხის რჩეულებმა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა და სესიის დამსწრე ბევრმა სტუმარმა მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით გამოხატეს თავიანთი სოლიდარობა საბჭოთა მთავრობის მეთაურის მოხსენებისადმი.

სესიის შემდეგი სხდომა გაიმართება დღეს, 5 აგვისტოს, დილის 10 საათზე. (საკდესი).

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა ლი სან ჩომ რწმუნების სიგელები გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს

3 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა კრემლში მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლი სან ჩო, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ საელჩოს მრჩეველი პაკ დოკ ხვანი, სავაჭრო მრჩეველი ცოი იუ გილი, სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი სინ გიმ ჩერი, 1-ლი მდივანი ნამ ჩან სოპი, მე-2 მდივნები ხვან დონ რერი, ტიუ სო ხენი, ხო დო დინი, მე-3 მდივანი ლი ხი სანი, ატაშეები ლიმ ბონ უნი, კიმ ზუნ გინი, რომლებიც ელჩმა წარუდგინა კ. ე. ვოროშილოვს.

რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ი. ფ. კურდიუკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი.

კ. ე. ვოროშილოვმა და ელჩმა ლი სან ჩომ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ელჩმა ლი სან ჩომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და კორეელი ხალხის სახელით მხურვალე ძმური სალამი გადასცა საბჭოთა მთავრობას და საბჭოთა ხალხს. კორეელი ხალხი, თქვა ელჩმა, არასოდეს არ დაივიწყებს, რომ გმირმა საბჭოთა არმიამ იგი გაათავისუფლა იაპონიის იმპერიალიზმის მრავალი წლის ბატონობისაგან და მისცა მას შესაძლებლობა როგორც თავისი ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონს აეშენებინა ერთიანი, დემოკრატიული და დამოუკიდებელი სახელმწიფო.

განაცხადა რა, რომ კორეელი ხალხი მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის თანმიმდევრულ სამშვიდობო პოლიტიკას, რომლის მიზანია დიდი და პატარა ერების პატივისცემის, თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვა, ხალხთა მეგობრობისა და სოლიდარობის განმტკიცება, მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება, ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კორეელ ხალხს თავის წმიდა მოვალეობად მიაჩნია განამტკიცოს და განავითაროს მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან.

დასასრულ ელჩმა განაცხადა, რომ იგი ყოველ ღონეს იხმარს, რათა შემდგომ განმტკიცდეს და განვითარდეს ორივე ქვეყნის ხალხთა შორის ზედნიერად შექმნილი ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა.

საპასუხო სიტყვაში კ. ე. ვოროშილოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა ელჩს გულთბილი სიტყვებისა და მეგობრული მისალმებისათვის საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა მთავრობისადმი. ჩემთვის დიდად სასიამოვნოა, თქვა კ. ე. ვოროშილოვმა, გამოვთქვა ღრმა კმაყოფილების გრძნობა იმის გამო, რომ ძმური ურღვევი მეგობრობა, რომელიც საბჭოთა და კორეელ ხალხებს შორის დამყარდა, წლითიწლობით მტკიცდება და ვითარდება.

კორეის განთავისუფლების მოახლოებული მეათე წლისთავის გამო კ. ე. ვოროშილოვმა სთხოვა ელჩს გადასცეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და გმირ კორეელ ხალხს საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხალხის უღრმესად მეგობრული მილოცვა.

კ. ე. ვოროშილოვმა აღნიშნა, რომ კორეელმა ხალხმა დიდი წარმატებანი მოიპოვა თავისი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში, ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1949 წლის 17 მარტს დადებულმა შეთანხმებამ ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ მტკიცე საფუძველი შეუქმნა ორივე ქვეყნის თანამშრომლობის ფართოდ განვითარებას.

საბჭოთა ხალხი, თქვა კ. ე. ვოროშილოვმა, სიმპათიის დიდი გრძნობით არის გამსჭვალული გმირი კორეელი ხალხისადმი, რომელმაც დიდი მსხვერპლი გაიღო სამი წლის სისხლისმღვრელ ომში თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, და უანგარო დახმარებას უწევს მოძმე კორეელ ხალხს ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენაში. ჩვენს ხალხს, განაგრძო კ. ე. ვოროშილოვმა, ახარებს კორეელი ხალხის წარმატებანი თავისი მეურნეობის აღდგენის სამწლიანი გეგმის შესრულებაში და იგი უსურვებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და მთელ კორეელ ხალხს ახალ წარმატებებს სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს განმტკიცებასა და განვითარებაში, ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

ჩვენი ხალხი უსურვებს კორეელ ხალხს, თქვა კ. ე. ვოროშილოვმა, წარმატებებს კორეის მშვიდობიანი გაერთიანებისა და კორეის ერთიანი ეროვნული დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის ამოცანების გადაჭრაში.

კ. ე. ვოროშილოვმა წარმატება უსურვა ელჩს მის პასუხსაგებ პოსტზე. მან აღუთქვა ელჩს, რომ მის მოღვაწეობას საბჭოთა კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების ინტერესებისათვის სავსებით დაუჭერენ მხარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და პირადად იგი, როგორც პრეზიდიუმის თავმჯდომარე, აგრეთვე საბჭოთა მთავრობა.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და სიტყვების შემდეგ კ. ე. ვოროშილოვს საუბარი ჰქონდა ელჩ ლი სან ჩოსთან. საუბარში მონაწილეობა მიიღეს ნ. მ. პეგოვმა და ვ. ვ. კუზნეცოვმა. (საკდესი).

# ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგები

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე 1955 წლის 4 აგვისტოს

ამხანაგო დეპუტატებო!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დამავალა მოვახსენო სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს შედეგები ოთხი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების თათბირის მუშაობისა, რომელიც მიმდინარეობდა ჟენევაში 18-23 ივლისს.

მიდიოდა რა ჟენევის თათბირზე, საბჭოთა მთავრობის დელეგაციას მხედველობაში ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურებთან გულახდილად განგვეხილა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემები, ერთობლივი ღონისძიებებით მიგვეღწია საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის და საფუძველი ჩაგვეყარა სახელმწიფოებს შორის ნდობის დამყარებისათვის. საბჭოთა მთავრობა უკვე დიდი ხანია მოითხოვდა ასეთი მოლაპარაკების გამართვას, მიაჩნდა რა, რომ მთავრობათა მეთაურების შეხვედრამ შეიძლება შექმნას ხელსაყრელი პირობები შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა გამოსანახავად, რომლებიც ხელს შეუწყობენ მშვიდობის განმტკიცებას.

ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ ჟენევის თათბირში, ვხელმძღვანელობდით რა საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საგარეო პოლიტიკის — სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის, ხალხთა შორის მშვიდობისათვის ბრძოლის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებით. ჩვენ ვეყრდნობოდით და ვეყრდნობით იმას, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა შეესაბამება საბჭოთა ხალხის ინტერესებს. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ასეთი პოლიტიკა შეესაბამება აგრეთვე ყველა ხალხთა მისწრაფებას, რომლებიც სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით, მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფით. სახალხო მოძრაობა მშვიდობისათვის მზარდ გავლენას ახდენს პოლიტიკაზე, და მას არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ სახელმწიფო მოღვაწეებმა.

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწყობა უნდა მივიჩნიოთ მშვიდობისმოყვარე ძალთა გარკვეულ წარმატებად.

უკვე იმ ფაქტს, რომ პოტსდამის 1945 წლის კონფერენციის შემდეგ საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მეთაურები პირველად შეხვდნენ ერთმანეთს იმისათვის, რომ ერთად განეხილათ საერთაშორისო ცხოვრების მომწიფებული საკითხები, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჟენევის თათბირზე ოთხი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა დაამყარეს ურთიერთ შორის პირადი კონტაქტი და მოახდინეს აზრთა გაცვლა საერთაშორისო მდგომარეობის მთელ რიგ საკითხებზე. როგორც ოფიციალური სხდომები, ისე სხდომების გარეშე არაოფიციალური შეხვედრები მიმდინარეობდა თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით, — თათბირის ყველა მონაწილე, რაც კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, იჩენდა მისწრაფებას მიგვეღწია დადებითი შედეგებისათვის.

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირი შეიძლება მივაკუთვნოთ დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენათა რიცხვს, რამდენადაც იგი მოასწავებს მობრუნებას სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ურთიერთობაში.

### I.

### საერთაშორისო ვითარება ჟენევის თათბირის წინ

სანამ გავაშუქებდეთ მუშაობას, რომელიც ჟენევის თათბირის მონაწილეებმა შეასრულეს, და თათბირის შედეგებს, საჭიროა დავახასიათოთ საერთაშორისო ვითარება, რომელიც წინ უძღოდა ამ თათბირს.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ განვლილი ათი წელი ხასიათდებოდა იმ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გამწვავებით, რომლებიც წარსულში მოკავშირეები იყვნენ საერთო მტრის — ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირი ამ პერიოდის მანძილზე, და განსაკუთრებით უკანასკნელი ერთნახევარი — ორი წლის განმავლობაში იღებდა ღონისძიებებს, რომელთა მიზანი იყო საერთაშორისო ურთიერთობაში შექმნილი დაძაბულობის შენელება, ცდილობდა ბოლო მოეღო „ცივი ომისათვის“ და აღედგინა თანამშრომლობა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირთან ერთად მშვიდობის განმტკიცებისათვის აქტიურად იბრძოდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანა.

არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ამ ბოლო დროს საბჭოთა კავშირისა და ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნის ღონისძიებებმა, რომელთა მიზანი იყო მშვიდობის განმტკიცება, დადებითი შედეგები გამოიღო.

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ დაძაბულობის შენელებას ხელი შეუწყო კორეაში ომის შეწყვეტამ, რაც მიღწეულ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ინიციატივის შედეგად. ამით ჩაქრობილ იქნა ომის საშიში კერა შორეულ აღმოსავლეთში. იგი შეიცავდა ომის გაფართოების საფრთხეს ყველა აქედან გამომდინარე მძიმე შედეგით საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის.

ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტა იმ შეთანხმების შედეგად, რომელიც მიღწეულ იქნა შარშან ხუთი სახელმწიფოს — სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოთა მონაწილეობით, შემდგომი დიდი მოვლენა იყო, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობის განმტკიცებისათვის, არამედ მთლიანად საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისთვისაც. ჟენევის 1954 წლის თათბირს, რომელსაც მოჰყვა სისხლისღვრის შეწყვეტა ინდოჩინეთში, მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ იგი ემყარება ინდოჩინეთის ხალხთა კანონიერი ეროვნული უფლებების აღიარებას, რომელნიც ესწრაფვიან სრულ ეროვნულ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას.

მაგრამ, მიუხედავად კორეასა და ინდოჩინეთში ომის შეწყვეტის უდიდესი მნიშვნელობისა, საერთაშორისო ვითარება კვლავ დაძაბული რჩებოდა. სახელმწიფოთა ცალკეულ ჯგუფებს შორის კვლავ არსებობდა უნდობლობა და ეჭვი, არსებობდა „ცივი ომის“ ვითარება.

ასეთი მდგომარეობა სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნიდა საერთაშორისო ვითარების შემდგომი გაუმჯობესებისა და სახელმწიფოთა ურთიერთობაში იმ ნდობის დამყარების გზაზე, ურომლისოდაც შეუძლებელია მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფა.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა შევჩერდეთ ეგრეთწოდებულ პარიზის შეთანხმებებზე, რომლებიც ძალაში შევიდა მიმდინარე წლის მაისში. ცნობილია, რომ პარიზის შეთანხმებათა ძირითადი მიზანია დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და მისი შეყვანა დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებებში — ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში და დასავლეთ ევროპის კავშირში. ამ შეთანხმებებმა გზა გაუხსნა მილიტარიზმის აღორძინებას დასავლეთ გერმანიაში. გარდა ამისა, პარიზის შეთანხმებანი რემილიტარიზებულ დასავლეთ გერმანიას აქცევენ დასავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოთა — აღნიშნული დაჯგუფებების მონაწილეთა სამხედრო მოკავშირედ. მთლიანად პარიზის შეთანხმებანი მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ, ევროპაში მშვიდობის დაცვის ინტერესების წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობას არაერთხელ მოუქცევია ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის, აგრეთვე პარიზის შეთანხმებათა მონაწილე სხვა ქვეყნების მთავრობების ყურადღება იმაზე, რომ ეს შეთანხმებანი იწვევენ ევროპაში მთელი ვითარების გამწვავებას და ქმნიან ისეთ მდგომარეობას, როცა შეუძლებელი იქნება გერმანიის პრობლემის გადაჭრა მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე გერმანიის გაერთიანების საფუძველზე. ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ამ პირობებში შეუძლებელია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაერთიანება რემილიტარიზებულ დასავლეთ გერმანიასთან, რომელიც შედის სამხედრო ბლოკებში სხვა სახელმწიფოებთან.

სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის გაფრთხილებას მაშინ ანგარიში არ გაუწიეს. ამის შედეგად ევროპაში შეიქმნა ისეთი ვითარება, რომელიც გახდა და შეიძლება კვლავაც იყოს სერიოზული დაბრკოლება საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგების საქმეში, აგრეთვე გართულებათა მიზეზი ევროპისა, და არა მარტო ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

გამალებული შეიარაღება, რომელიც წლითიწლობით სულ უფრო ფართო მასშტაბს იღებდა, განსაკუთრებით ატომური და წყალბადის იარაღის წარმოების დარგში, აგრეთვე იწვევდა ხალხთა კანონიერ შეშფოთებას. უკანასკნელ წლებში სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯები სისტემატურად იზრდებოდა, ამასთან ეს განსაკუთრებით ეხებოდა ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს. შეიარაღების ხარჯების ზრდის მასშტაბზე წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები, რომლებიც ემყარება შესაბამის სახელმწიფოთა ოფიციალურ პუბლიკაციებს.

ამერიკის შეერთებული შტატების პირდაპირი სამხედრო ხარჯები 1948-1949 საბიუჯეტო წელს შეადგენდა 12,9 მილიარდ დოლარს, ანუ ფედერალური ბიუჯეტის მთელი ხარჯების 32,6 პროცენტს; 1953-54 საბიუჯეტო წელს ხსენებული ხარჯები გაიზარდა 46,5 მილიარდ დოლარამდე, ანუ მთელი ფედერალური ხარჯების 68,6 პროცენტამდე. ამრიგად, 1948 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბიუჯეტი გაიზარდა სამნახევარჯერ და უფრო მეტად, ხოლო მისი წილი ამერიკის შეერთებული შტატების საერთო საგასავლო ბიუჯეტში გაიზარდა ერთიორად და მეტად.

ინგლისის პირდაპირი სამხედრო ხარჯები 1948-49 საბიუჯეტო წელს შეადგენდა 768 მილიონ გირვანქა სტერლინგს — ბიუჯეტის მთელი ხარჯების 24,2 პროცენტს; 1953-54 წელს აღნიშნული ხარჯები გადიდდა უკვე ერთ მილიარდ 637 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე, ანუ ბიუჯეტის მთელი ხარჯების 38,3 პროცენტამდე.

საფრანგეთში პირდაპირი სამხედრო ხარჯები 1949 წელს უდრიდა 289 მილიარდ ფრანკს, ანუ ბიუჯეტის მთელი ხარჯების 23,8 პროცენტს; 1954 წელს საფრანგეთის პირდაპირი სამხედრო ხარჯები გადიდდა ერთ ტრილიონ 192 მილიარდ ფრანკამდე, რაც შეადგენდა ბიუჯეტის მთელი ხარჯების 32,5 პროცენტს.

თავისთავად ცხადია, ასეთ ვითარებაში საბჭოთა კავშირს არ შეეძლო არ ეზრუნა თავისი საკუთარი შეიარაღებული ძალების განმტკიცებისათვის. 1955 წლისათვის საბჭოთა კავშირში სამხედრო ხარჯები დაგეგმილი იყო 112.122.710 ათასი მანეთის რაოდენობით, რაც შეადგენს ბიუჯეტის მთელი საგასავლო ნაწილის 20-მდე პროცენტს. პარიზის შეთანხმებათა დადებასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირი და ევროპის სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები იძულებული გახდნენ დაედოთ 14 მაისს ვარშავის ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მათი ღონისძიებების გაერთიანებას საკუთარი უშიშროების უზრუნველსაყოფად და ევროპაში მშვიდობის დაცვის ინტერესებისათვის.

დღითიდღე სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ შეიარაღების ზრდა, რომელიც გრძელდება, იწვევს უნდობლობის გაძლიერებას სახელმწიფოთა ურთიერთობაში, მათ შორის ურთიერთ ეჭვის ზრდას, ახალი ომის პროპაგანდის გაძლიერებას. ყოველივე ეს წარმოადგენდა „ცივი ომის“ გაგრძელებას. „ცივმა ომმა“ დაარღვია ნორმალური ეკონომიური და სხვა ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის; მას შედეგად მოჰყვა სხვადასხვაგვარი აკრძალვა და შეზღუდვა საერთაშორისო ვაჭრობაში, სხვადასხვა ქვეყნის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა ურთიერთობის შეზღუდვა. „ცივი ომი“ ხელს უშლის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და სახელმწიფოებს შორის საჭირო ნდობის შექმნას.

ხალხთა განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია მდგომარეობამ შორეულ აღმოსავლეთში. კორეის ომის შეწყვეტის შემდეგაც კი ვითარება ამ რაიონში კვლავ დაძაბული იყო, ამასთან დროდადრო ეს დაძაბულობა საშიშ ხასიათს იღებდა. ეს იმით აიხსნება, რომ ჩინეთის ძველთაძველი ტერიტორიები — კუნძული ტაივანი და მთელი რიგი სხვა კუნძულები — ფაქტიურად ოკუპირებული აქვთ უცხოეთის ჯარებს, რასაც, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდება ჩინელი ხალხი.

საბჭოთა მთავრობამ გამოიჩინა ინიციატივა ტაივანის საკითხის მოსაწესრიგებლად დაინტერესებულ სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევის შესახებ. სამწუხაროდ, ამ ინიციატივას დღემდე ვერ მოჰყვა დადებითი შედეგები. სსრ კავშირის მთავრობამ მხარი დაუჭირა აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წინადადებას, რომ პირდაპირი მოლაპარაკება მოეწყოს

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

# ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გაგრძელება

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობის მოუწესრიგებელ საკითხებზე. ახლა, როგორც ცნობილია, ორივე მხარე შეუდგა ასეთ მოლაპარაკებას. ეს მოლაპარაკება ხელსაყრელ პირობებში დაიწყო. გადაწყვეტილება ჯაშუშობისათვის მსჯავრდადებული 11 ამერიკელი მფრინავის ვადამდე განთავისუფლების შესახებ კეთილი ნების აქტია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხრივ და არ შეიძლება, რომ მან დადებითი გავლენა არ მოახდინოს მოლაპარაკების მსვლელობაზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხს. მართლაც, არ შეიძლება ხელოვნურად ვიყოლიოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში მონაწილეობისა და მთელი რიგი საერთაშორისო პრობლემების განხილვაში მონაწილეობის გარეთ დიდი სახელმწიფო, რომელიც ამავე დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია, — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

საბჭოთა მთავრობას შეგნებული ჰქონდა, რომ რაც უფრო დიდხანს იქნება დაძაბულობა ცალკეულ სახელმწიფოთა ურთიერთობაში, მით უფრო გამწვავდება საერთაშორისო ვითარება, რომელმაც შეიძლება ახალი ომის საფრთხე გამოიწვიოს. საჭირო იყო რადიკალური საგარეოპოლიტიკური ღონისძიებანი, რომლებიც შეანელებდნენ ვითარებას, აღადგენდნენ ნდობას სახელმწიფოთა შორის. ამიტომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ, რომელიც ხელმძღვანელობდა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესებით, გამოიჩინა ამ მხრივ თაოსნობა და ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში განახორციელა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საგარეოპოლიტიკური ღონისძიებანი, რომლებმაც საყოველთაო მოწონება ჰპოვა მშვიდობისმოყვარე ხალხებში.

არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ მშვიდობისმოყვარულ ღონისძიებებს, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ განახორციელა, მოჰყვა საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელება.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მთავრობის 10 მაისის წინადადებებს შეიარაღების შემცირების, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე. ამ წინადადებებს მოწონებით შეხვდნენ ფართო საერთაშორისო წრეები და ყველგან შეაფასეს როგორც დიდი წვლილი მშვიდობის საქმეში. მათ საფუძველზე საჭირო შეთანხმების მიღწევა, უეჭველია, უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებდა მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ისეთი მოვლენის მნიშვნელობა, როგორიც არის ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადება, რაც საბჭოთა კავშირის ინიციატივით განხორციელდა.

ავსტრიის საკითხის გადაწყვეტა, რომლის თანახმად ავსტრიამ, რომელიც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო გახდა, იკისრა ვალდებულება დაიცვას მუდმივი ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, შეესაბამება როგორც ავსტრიელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, ისე აგრეთვე ევროპის მშვიდობის დაცვის ინტერესებს. ამავე დროს ავსტრიის საკითხის წარმატებით გადაჭრამ ცხადყო, რომ სახელმწიფოებს, რომლებსაც ეკისრებათ მთავარი პასუხისმგებლობა მშვიდობის დაცვისათვის, სრულიადაც არ ამოუწურავთ მოუწესრიგებელი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის არსებული შესაძლებლობანი. ბუნებრივია, ამ საკითხის გადაჭრამ გააძლიერა მოძრაობა აგრეთვე სხვა მომწიფებული პრობლემების მოსაწესრიგებლად.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელობა, რაც მშვიდობის საქმისათვის აქვს იმ შემობრუნებას საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობაში, რომელიც მიღწეულ იქნა იუგოსლავიაში საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის გამგზავრების შედეგად.

ბელგრადში გამართულმა მოლაპარაკებამ ბოლო მოუღო იმ არანორმალურ და შეუწყნარებელ მდგომარეობას, რომელიც ორივე ქვეყანას შორის შეიქმნა 1948 წლის შემდეგ, როცა ხელოვნურად იქნა დარღვეული ძმური მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის ურთიერთობა იუგოსლავ და საბჭოთა ხალხებს შორის. საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობაში სულ ცოტა ხნის წინათ არსებული არანორმალური მდგომარეობა ხელსაყრელი იყო მხოლოდ მშვიდობის მტრებისათვის. მას სერიოზული ზიანი მოჰქონდა ორივე ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებისათვის და ხალხთა შორის მშვიდობის დაცვის ინტერესებისათვის. ასეთი მდგომარეობის განგრძობა აღარ შეიძლებოდა, და ორივე ქვეყნის მთავრობები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის ძირეული გაუმჯობესება.

სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობა ახლა აგებულია და კვლავაც აგებული იქნება მშვიდობის განუყოფლობის, სუვერენიტეტის პატივისცემის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპების აღიარების, ხალხთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის აღიარებისა და განვითარების, ურთიერთ პატივისცემისა და სშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე.

ის შედეგები, რომლებიც ამჟამად უკვე მიღწეულია საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში, ყველა საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ ორივე ქვეყანამ აირჩია ერთადერთი სწორი გზა და რომ ორივე მთავრობა მთელი სერიოზულობით ეკიდება საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საქმეს. ჩვენ ამ ტრიბუნიდან მივესალმებით ჩვენს იუგოსლავ მეგობრებს და იუგოსლავიის პრეზიდენტს ამხანაგ ტიტოს (**მქუხარე ტაში**) და საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა და მთელი საბჭოთა ხალხი კვლავაც მიიღებენ ღონისძიებებს იმისათვის, რომ ვიაროთ იუგოსლავიის მოძმე ხალხებთან მეგობრობისა და გულწრფელი თანამშრომლობის ერთობლივად არჩეული გზით. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

შემდეგ უნდა აღინიშნოს ისეთი მოვლენის დიდი მნიშვნელობა, როგორიც არის საბჭოთა კავშირში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ბატონ ჯავაჰარლალ ნერუს ჩამოსვლა. ბატონ ჯ. ნერუსა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს შორის მომხდარმა აზრთა გაცვლამ და საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივმა განცხადებამ ცხადყო, რომ ორივე ქვეყანას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განავითაროს და განამტკიცოს მეგობრული ურთიერთობა, რომელიც შეიქმნა საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის. ორივე ქვეყნის პოზიციები მშვიდობისათვის ბრძოლის გადაუდებელ პრობლემებში ერთმანეთს ემთხვევა, და ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აზიისა და შორეული აღმოსავლეთის მომწიფებული პრობლემების მოწესრიგებისათვის და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

საბჭოთა მთავრობას, რომელიც დიდად აფასებს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობის მნიშვნელობას, როგორც დიდმნიშვნელოვან ფაქტორს აზიისა და არა მარტო აზიის მშვიდობისათვის ბრძოლაში, საჭიროდ მიაჩნია კვლავაც დაიცვას ეს თანამშრომლობა იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა კავშირ-ინდოეთის განცხადებაში და რომლებსაც ფართოდ დაუჭირეს მხარი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებმა. ამ თანამშრომლობის განმტკიცება, უეჭველია, ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის მთავრობათა ხელმძღვანელების პირადი კონტაქტების შემდგომ განვითარებას.

ხელმძღვანელობს რა ზრუნვით მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, საბჭოთა მთავრობამ მიიღო მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ მოგვცენ არსებითი დადებითი შედეგები. მხედველობაში მაქვს, კერძოდ, სსრ კავშირის მთავრობის წინადადება გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობისადმი დიპლომატიური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის დამყარების შესახებ, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკება, რომელიც ამჟამად ლონდონში წარმოებს.

ასეთია, ძირითადად, ის საერთაშორისო ვითარება, რომელიც შეიქმნა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის წინ. ასეთია ის ფაქტორები, რომლებმაც რამდენადმე შეანელა საერთაშორისო დაძაბულობა და ამით შექმნა ხელსაყრელი პირობები ჟენევაში თათბირის მოსაწყობად.

## II.

## ჟენევის თათბირი და საბჭოთა მთავრობის წინადადებანი

საბჭოთა მთავრობა ემყარებოდა იმას, რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირის მთავარი ამოცანა უნდა იყოს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელება და ხელის შეწყობა იმისათვის, რომ შეიქმნას საჭირო ნდობა სახელმწიფოთა ურთიერთობაში. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება სერიოზულად ვილაპარაკოთ გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებაზე.

ხელმძღვანელობდა რა ამით. საბჭოთა დელეგაციამ ჟენევის თათბირის მუშაობის დასაწყისშივე განაცხადა, რომ, საბჭოთა მთავრობის აზრით, თათბირის ამოცანაა არა ის, რომ წამოაყენოს ესა თუ ის ბრალდება ერთმანეთის წინააღმდეგ, არამედ ის, რომ გამონახოს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და სახელმწიფოთა ურთიერთობაში ნდობის ატმოსფეროს შექმნის ახალი გზები და საშუალებანი. ჩვენ პირდაპირ განვაცხადეთ, რომ ჟენევაში ჩამოვედით იმ სურვილით, რომ გამოვნახოთ მოუწესრიგებელი საკითხების გადაჭრა ერთობლივი ღონისძიებების გზით და ჩვენი მხრივ გამოვთქვით მზადყოფნა — ყურადღებით განვიხილოთ თათბირის სხვა მონაწილეთა წინადადებანი.

საბჭოთა დელეგაციამ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეთა ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმას, რომ იგი არ აპირებს თქვას, რომ ცოტაა სიძნელენი, რომლებიც ხელს უშლიან გადაუჭრელი პრობლემების, მათ შორის ევროპისა და აზიის პრობლემების მოწესრიგებას. მაგრამ, თუ ყველა მონაწილე თათბირზე ჩამოვიდა იმ სურვილით, რომ გამოვნახოთ გზები სიძნელეთა დასაძლევად, ეს იმის საიმედო საწინდარია, რომ თათბირს დადებითი შედეგები მოჰყვება.

თავიანთ შესავალ განცხადებებში, რომლებიც 18 ივლისის პირველ სხდომაზე გააკეთეს, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა მეთაურებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი შეხედულებანი საერთაშორისო მდგომარეობის ძირითად საკითხებზე და თათბირის ამოცანებზე. ამასთან გამოითქვა მოსაზრებანი იმ პრობლემებზე, რომლებიც განხილულ უნდა იქნას.

თათბირის ყველა მონაწილე იმას მიემხრო, რომ განხილულიყო შემდეგი საკითხები: გერმანიის საკითხი, განიარაღების, ევროპის უშიშროების, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტის განვითარების საკითხები.

სამწუხაროდ, არ მიიღეს ჩვენი წინადადება, რომ თათბირს განეხილა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის პრობლემები, თუმცა ამ პრობლემების აქტუალობა აშკარაა, თუ თვალს გავუსწორებთ ფაქტებს.

თავისთავად იგულისხმება, რომ საბჭოთა დელეგაცია ვერ დათანხმდებოდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული მდგომარეობის საკითხის, აგრეთვე „საერთაშორისო კომუნიზმის" საკითხის განხილვაზე. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამ თათბირზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული მდგომარეობის საკითხის დასმა იმას ნიშნავს, რომ გვიბიძგებდნენ ამ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევისაკენ.

ამავე დროს კარგად არის ცნობილი, რომ ამ ქვეყნებში სახალხო-დემოკრატიული რეჟიმი თვითონ ხალხებმა დაამყარეს მათი თავისუფალი ნების გამოცხადების საფუძველზე. გარდა ამისა, ჩვენთვის არავის არ დაუვალებია ამ ქვეყნებში არსებული მდგომარეობის განხილვა. რაც შეეხება „საერთაშორისო კომუნიზმის" საკითხს, რომლითაც აქა-იქ მიღებულია გულუბრყვილო ადამიანთა დაშინება, ჩვენ განვაცხადეთ, რომ ჟენევის თათბირი მოწვეულია იმისათვის, რომ განიხილოს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის პრობლემები და არა იმისათვის, რომ განიხილოს სხვადასხვა ქვეყნების ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიების საქმიანობა ან ამ პარტიების ურთიერთობა. ამის მიხედვით არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ მთავრობათა მეთაურების თათბირზე ამ საკითხის დასმა უადგილოა.

ვლაპარაკობთ რა არსებითად იმ წინადადებებზე, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ შეიტანა ჟენევის თათბირზე განსახილველად, უწინარეს ყოვლისა უნდა შევჩერდეთ წინადადებებზე იმ საკითხების გამო, რომლებიც დაკავშირებულია ევროპის უშიშროების უზრუნველყოფასთან.

ამ საკითხის უდიდესი მნიშვნელობა გასაგებია. ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ყველაზე სისხლისმღვრელი და დამანგრეველი ომები წარმოებდა ევროპაში. სწორედ ევროპაში დაიწყო როგორც პირველი, ისე მეორე მსოფლიო ომი, რომლებიც გავრცელდნენ სხვა ქვეყნებსა და კონტინენტებზე და რომლებმაც კაცობრიობას აურაცხელი მსხვერპლი და მატერიალური ნგრევა მოუტანეს. ყოველივე ეს მოწმობს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა იქნებოდა საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის ევროპაში მტკიცე უშიშროების სისტემის შექმნას.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნდა და მიაჩნია, რომ ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ყველაზე საიმედო გზა იქნებოდა სრულიად ევროპის ხელშეკრულების დადება ან, როგორც ჩვენ ვამბობთ, კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა ევროპის ყველა სახელმწიფოს და ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით. უშიშროების ასეთი სისტემის შექმნა ნაცვლად ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებებისა, რომლებიც მიმართულია ევროპის სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ, შეესაბამებოდა ევროპის ყველა ხალხის ინტერესებს, რომლებიც სამხედრო დაჯგუფებათა შექმნის პოლიტიკას უკვე არაერთხელ გადაუჩეხია ომის უფსკრულში.

როცა ჩვენ შარშან შევიტანეთ ასეთი წინადადება, დასავლეთის ზოგიერთმა სახელმწიფომ განგვიცხადა, რომ საბჭოთა წინადადება მათთვის ხელსაყრელი არ არის, რადგან იგი ანგრევს მათ მიერ ვითომდა თავდაცვის ინტერესებისათვის შექმნილ სამხედრო ბლოკების სისტემას. ამასთან ისინი განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენდნენ ჩრდილოეთ ატლანტიკის დაჯგუფების ბედის გამო, ამტკიცებდნენ რა, რომ ნატო ისახავს მხოლოდ თავდაცვით მიზნებს. ამ მტკიცებათა გამო საბჭოთა მთავრობამ ერთ დროს გადაწყვიტა შესულიყო ამ ორგანიზაციაში, რადგან იმ ორგანიზაციაში მონაწილეობა, რომელიც თავდაცვითს მიზნებს ისახავს, სავსებით შეესაბამება ჩვენს ინტერესებს. საბჭოთა კავშირმა კონკრეტულად სცადა შესულიყო ნატოში და შესაბამისი ნოტა გაუგზავნა ნატოს მონაწილე სახელმწიფოებს. მაგრამ ჩვენ ოფიციალური ნოტითვე უარი გვითხრეს მიღებაზე. ამას არ შეეძლო არ გამოეწვია საბჭოთა კავშირის დასაბუთებული შეშფოთება და ყურადღების გამახვილება. ცხადი იყო, რომ ნატოს მიზნები სრულიადაც არ შეესაბამება განცხადებებს ამ ორგანიზაციის თავდაცვითი ხასიათის შესახებ.

გავითვალისწინეთ რა ის გარემოება, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს მთავრობებს არა სურთ გამოვიდნენ, ამჟამად მაინც, მათ მიერ შექმნილი ბლოკებიდან, და გვსურდა რა შეგვემსუბუქებინა შეთანხმების მიღწევა დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის, ჟენევის თათბირზე შევიტანეთ ახალი წინადადება, რომელიც ეხება ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას. ჩვენ შევიტანეთ წინადადება, რომ უშიშროების ასეთი სისტემის შექმნა გაიყოს ორ პერიოდად.

პირველი პერიოდისათვის ძალაში უნდა დარჩეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებაც, პარიზის შეთანხმებებიც, ვარშავის ხელშეკრულებაც. ამავე დროს ამ დაჯგუფებებში შემავალ ყველა სახელმწიფოს, ჩვენი წინადადების თანახმად, უნდა ეკისრებოდეს ვალდებულება — თავი შეიკავონ ერთმანეთის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალის გამოყენებისაგან და ყველა დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მათ შორის, გადაჭრან მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით.

შემდეგ ჩვენი წინადადებანი ითვალისწინებდნენ, რომ შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, აგრეთვე ევროპის ქვეყნების ტერიტორიებიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის შესახებ შეთანხმებათა მიღწევამდე ევროპის კოლექტიური უშიშროების მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა იკისრონ ვალდებულება — არ განახორციელონ არავითარი ღონისძიება, რომლის მიზანი იქნება მათი შეიარაღებული ძალების გადიდება ევროპის სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

ბოლოს, საბჭოთა წინადადებანი ითვალისწინებდნენ, რომ ევროპის კოლექტიური უშიშროების მონაწილე სახელმწიფოებს კონსულტაცია უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან ყოველთვის, როცა ამას მოითხოვს ვითარება, რათა არ დაუშვან საშიში მდგომარეობის შექმნა ევროპაში და მიიღონ შეთანხმებული ღონისძიებანი მშვიდობის დასაცავად.

ამრიგად, საბჭოთა წინადადებანი, ერთი მხრივ, ითვალისწინებენ ევროპაში შექმნილ რეალურ ვითარებას, როცა არსებობენ სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებანი, მეორე მხრივ — უზრუნველყოფენ, ამ წინადადებათა მიღების შემთხვევაში, მშვიდობიან თანაარსებობას ევროპის სახელმწიფოთა შორის, ამასთან არც ერთი ამ სახელმწიფოთაგანი პირველ ეტაპზე არ კისრულობს არავითარ სხვა ვალდებულებას ევროპის კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულებით, გარდა ვალდებულებისა, რომ არ გამოიყენებს შეიარაღებულ ძალას.

ამ წინადადებებს ის უპირატესობაც აქვთ, რომ შესაძლებელს ხდიან რაღაც პერიოდის მანძილზე შემოწმდეს მოქმედებაში სისტემა, რომელიც ემყარება ევროპის ყველა სახელმწიფოს ერთობლივ, თუნდაც შეზღუდული მასშტაბის, ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მშვიდობის დაცვა.

მეორე პერიოდში ხსენებულმა სახელმწიფოებმა, ბუნებრივია, შესაბამისი ხელშეკრულებით უნდა იკისრონ სრული მოცულობით ვალდებულებანი, რომლებიც დაკავშირებულია ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნასთან. ამის შესაბამისად მთლიანად და ერთსა და იმავე დროს უნდა შეწყვიტონ თავიანთი მოქმედება ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებამ, პარიზის შეთანხმებებმა და ვარშავის ხელშეკრულებამ, ხოლო მათ საფუძველზე შექმნილი დაჯგუფებანი ლიკვიდირებულ უნდა იქნან და ისინი უნდა შეცვალოს სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემამ.

ჟენევაში ჩვენ მოვითხოვეთ, რომ საბოლოო ანგარიშით ევროპის სახელმწიფოთა ტერიტორიაზე არ დარჩნენ უცხოეთის ჯარები და რომ ამ მხრივ აღდგეს მდგომარეობა, რომელიც იყო მეორე მსოფლიო ომამდე. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს შეესაბამება ევროპის ხალხთა მისწრაფებას მშვიდობისადმი, დამოუკიდებელი არსებობისადმი და სავსებით შეესაბამება ევროპის ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანას.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ევროპის სახელმწიფოთა ნამდვილი უშიშროება შეიძლება იქნეს და უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მხოლოდ მაშინ, როცა ბოლო მოეღება სამხედრო დაჯგუფებათა პოლიტიკას, როცა ევროპის ყველა სახელმწიფო, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები გააერთიანებენ თავიანთ ღონისძიებებს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვანაირად ცხოვრობს. ადამიანებს შორის, რომლებიც ამ ქვეყნებში ცხოვრობენ, არიან მორწმუნენი და ურწმუნონი, კომუნისტები და ანტიკომუნისტები, მაგრამ ყველა ისინი შეიძლება შეთანხმდნენ ერთ რამეში: ისინი თანაბრად დაინტერესებული არიან მშვიდობის შენარჩუნებით და განმტკიცებით. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ არ უნდა დავიშუროთ შრომა და მეცადინეობა იმისათვის, რომ მივაღწიოთ ამ მიზნის განხორციელებას.

შევიტანეთ რა ჩვენი კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია სრულიად ევროპის უშიშროების უზრუნველყოფა, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ეს წინადადებანი არ არის ერთადერთი, რომელთა საფუძველზე შეიძლება მივუდგეთ ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრას. ჩვენ მზადა ვართ განვიხილოთ სხვა სახელმწიფოთა წინადადებანი, რომლებიც ასე თუ ისე შეესაბამებიან ევროპის უშიშროების განმტკიცების ამოცანას, რაც საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა ჟენევის თათბირზე.

საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, კერძოდ, რომ ყურადღების ღირსია დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ა. იდენის მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ შეიძლება დაიდოს უშიშროების პაქტი სახელმწიფოთა უფრო ვიწრო წრის მონაწილეობით. ასეთი პაქტის დადებას პირველ ხანებში ოთხი სახელმწიფოს — სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის, აგრეთვე ევროპის ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს მონაწილეობით, შეიძლება დადებითი მნიშვნელობა იქნეს, [illegible] მხოლოდ, რომ ასეთი პაქტი [illegible] რეალურად არსებულ ვითარებას, როცა განვლილი ათი წლის მანძილზე ჩამოყალიბდა გერმანიის ორი სახელმწიფო. ჩვენ სავსებით შესაძლოდ მიგვაჩნია გამოინახოს სრულიად ევროპის უშიშროების ინტერესების ისეთი შეხამება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის განვითარების ინტერესებთან, რომელიც როგორც გერმანელი ხალხის ინტერესების, ისე საყოველთაო მშვიდობის ინტერესების შესაბამისი იქნება.

უნდა ვიფიქროთ, რომ ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალ ოქტომბრის თათბირზე განხილულ იქნება ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის შესახებ შეთანხმების ახალი შესაძლებლობანი. ასეთი შესაძლებლობანი არ შეიძლება ამოწურულად მივიჩნიოთ.

ამის მიხედვით საჭიროა ითქვას ჩვენს მეორე წინადადებაზე, რომელიც ეხება ევროპის უშიშროებას და რომელიც განსახილველად გადაეცა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალ ოქტომბრის თათბირს. მხედველობაში მაქვს საბჭოთა მთავრობის წინადადება იმის შესახებ, რომ ევროპის ამჟამად არსებულ დაჯგუფებათა მონაწილე სახელმწიფოებმა, სანამ სრულიად ევროპის უშიშროების სისტემა შეიქმნებოდეს, იკისრონ ვალდებულება არ გამოიყენონ შეიარაღებული ძალა ერთმანეთის წინააღმდეგ. თავისთავად იგულისხმება, და ჩვენ ეს განვაცხადეთ ჟენევაში, რომ ასეთმა ვალდებულებამ არ უნდა მიაყენოს ზიანი სახელმწიფოს ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლებას შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში, უფლებას, რომელსაც ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლი.

ჩვენი აზრით, ძნელია ასეთი წინადადების წინააღმდეგი იყო. მართლაც დავუშვათ, რომ ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულების დადების საკითხზე შეთანხმების მიღწევა, — ევროპის ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით იქნება ეს თუ თავდაპირველად ევროპის სახელმწიფოთა მარტო ერთი ნაწილის მონაწილეობით, — შეიძლება გაჭიანურდეს. ჩვენ ჟენევაში ვთქვით: ასეთ შემთხვევაში რატომ არ შეიძლება დავთანხმდეთ იმაზე, რომ არსებულ დასავლეთისა და ვარშავის სამხედრო დაჯგუფებათა მონაწილეებმა იკისრონ უბრალო, მაგრამ ხალხთა უაღრესად სასიცოცხლო ინტერესების შესაფერისი ვალდებულება — არ გამოიყენონ ერთმანეთის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალა? არსებულ დაჯგუფებათა მონაწილე სახელმწიფოებს შორის ამის შესახებ ხელშეკრულების დადება, უდავოა, ევროპის ეფექტიანი უშიშროების სისტემის შექმნის საქმეში წინ გადადგმული ნაბიჯის მომასწავებელი იქნება.

რაიმე საბოლოო შეთანხმება ევროპის უშიშროების შესახებ, აგრეთვე საბჭოთა მთავრობის ამ უკანასკნელი წინადადების მიხედვით, არ ყოფილა მიღწეული, მაგრამ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურებს შორის მომხდარი აზრთა გაცვლის შედეგად ყველა დათანხმდა, რომ უნდა გაგრძელდეს ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის განხილვა. ამასთან დასავლეთის სამი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა აზრი გამოთქვეს აგრეთვე იმის სასარგებლოდ, რომ განხილულიყო საბჭოთა მთავრობის წინადადება დასავლეთისა და ვარშავის დაჯგუფებათა შორის ხელშეკრულების დადების შესახებ.

ჟენევის თათბირზე ჩვენ დავსვით საკითხი, რომელიც სულ უფრო აქტუალური ხდება — საკითხი იმის შესახებ, რომ ოთხმა სახელმწიფომ მხარი დაუჭიროს იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მოისურვებენ განახორციელონ ნეიტრალიტეტის და სამხედრო ბლოკებსა და კოალიციებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკა. ცნობილია, რომ ევროპის, ახლო და შუა აღმოსავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოში სულ უფრო ძლიერდება მოძრაობა ნეიტრალიტეტის პოლიტიკის განხორციელებისათვის. ასეთი მისწრაფება სავსებით გასაგებია, რადგან წარსულიდან ცნობილია, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ნეიტრალურ პოლიტიკას ახორციელებდნენ, უზრუნველყოფდნენ თავიანთი ხალხების უშიშროებას და დადებითი როლი შეასრულეს. ჩვენ ჟენევაში განვაცხადეთ, რომ თუ ესა თუ ის სახელმწიფო, რომელსაც სურს დაიცვას ნეიტრალიტეტი, დასვამს თავისი უშიშროების და ტერიტორიული ხელშეუხებლობის გარანტიის საკითხს, საბჭოთა კავშირი მზად არის სხვა სახელმწიფოებთან ერთად მიიღოს მონაწილეობა ასეთ გარანტიებში.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირმა უკვე გააკეთა ასეთი წინადადება ავსტრიის მიმართ, ამასთან ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ვენის თათბირზე პრინციპულად მიღწეულ იქნა შეთანხმება ავსტრიის ნეიტრალიტეტის პატივისცემის შესახებ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მიერ.

ჩვენი აზრით, ეს საკითხი ჟენევის თათბირის შემდეგაც საჭირბოროტოა და სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს.

ჟენევის თათბირზე მოხდა აზრთა გაცვლა გერმანიის პრობლემაზე. უნდა ითქვას, რომ თათბირზე გამოვლინდა სხვადასხვა მიდგომა ამ პრობლემის გადაჭრისადმი, იმ საკითხის გადაჭრისადმი, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს გერმანია. ევროპის ხალხთა უშიშროებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკითხს იმის შესახებ, განვითარდება გერმანია იმ მიმართულებით, რომელიც შეესაბამება ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებს, თუ გერმანიის განვითარება წავა, როგორც ოდესღაც, მილიტარიზმის აღორძინებისა და ევროპის ცენტრში ახალი ომის კერის შექმნის გზით.

სამი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა დაიცვეს პარიზის შეთანხმებანი, რომლებიც ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას და მის შეყვანას დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებაში. ამასთან ისინი არ მალავდნენ, რომ გაერთიანებული გერმანიაც მათ წარმოუდგენიათ მხოლოდ აღნიშნულ დასავლეთის დაჯგუფებაში ჩაბმულად. ცხადია, რომ საბჭოთა კავშირს არ შეეძლო და არ შეუძლია დაეთანხმოს ასეთ თვალსაზრისს, რადგან იგი არ შეესაბამება ევროპის უშიშროების, აგრეთვე საბჭოთა კავშირის უშიშროების ინტერესებს, რაც ჩვენ არ შეგვიძლია და უფლებაც არა გვაქვს არ მივიღოთ მხედველობაში.

ამაზე ჩვენ გაგვიცხადეს, რომ დასავლეთის სამ სახელმწიფოს შეუძლია დათანხმდეს ხუთი სახელმწიფოს პაქტის დადებაზე (სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გაერთიანებული გერმანიის მონაწილეობით) და ისინი მზად არიან იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირმა მიიღოს „უშიშროების გარანტიები" ასეთი პაქტის ხსენებული მონაწილეებისაგან. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ გვსურს სრული სიცხადე შევიტანოთ ამ საკითხში საბჭოთა კავშირისათვის გარანტიების შესახებ. წინადადებანი გარანტიების შესახებ, განვაცხადეთ ჩვენ, გასაგებია, როცა საქმე ეხება პატარა სახელმწიფოს, რომელსაც არა

(გაგრძელება მე-3 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გაგრძელება

ჰყავს ისეთი შეიარაღებული ძალები, რომლებსაც შეუძლიათ სავსებით უზრუნველყონ მისი უშიშროება. სავსებით გასაგებია, რომ სსრ კავშირის მიმართ ამის შესახებ ყოველგვარ წინადადებას არავითარი საფუძველი არა აქვს.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ საქმე ეხება გარანტიებს, რომლებიც უნდა მიეცეს საბჭოთა კავშირს იმ სახელმწიფოთა მხრივ, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან სეპარატული სამხედრო ვალდებულებებით იმ სხვა ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად, რომლებიც აშკარად მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ ევროპაში უშიშროების უმნიშვნელოვანესი გარანტია იქნება უწინარეს ყოვლისა სრულიად ევროპის უშიშროების სისტემის შექმნა, აგრეთვე ის, რომ დაშვებულ არ იქნას გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, დაშვებულ არ იქნას, რომ გერმანია გადაიქცეს ახალი აგრესიის კერად ევროპაში.

ჟენევაში ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ჩვენი შეხედულებანი გერმანიის საკითხზე. ჩვენ განვაცხადეთ, რომ პარიზის შეთანხმებათა განხორციელება, ესე იგი დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია, მისი სამხედრო პოტენციალის აღდგენა და დასავლეთის სამხედრო დაჯგუფებებში დასავლეთ გერმანიის შეყვანა შეუთავსებელია გერმანიის გაერთიანების ამოცანასთან. ჩვენ განვაცხადეთ, რომ საბჭოთა კავშირი წინათაც მიაქცევდა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა ყურადღებას იმას, თუ რის გამოწვევა შეუძლიათ პარიზის შეთანხმებებს.

ახლა პარიზის შეთანხმებები უკვე ძალაში შევიდა და ხორციელდება, და ამან შექმნა ახალი მდგომარეობა, რომლის უგულებელყოფა არ შეიძლება. მაგრამ ეს ამასთან ერთად ნიშნავს, რომ გერმანიის საკითხის გადაწყვეტა, როცა არსებობს პარიზის შეთანხმებები, უნდა ვეძებოთ სხვა გზით — ევროპაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზით, არსებულ სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებების ლიკვიდაციისა და ევროპის კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნის გზით. სწორედ ამ მხრივ უნდა იყოს მიმართული როგორც გერმანელი ხალხის, ისე სხვა დაინტერესებული სახელმწიფოების ღონისძიებანი.

შეიძლება მხოლოდ კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრივ წრეებში და დასავლეთ გერმანიის პრესაში სულ უფრო ხშირად და მტკიცედ გაისმის მოთხოვნები გერმანიის გაერთიანების საკითხებში გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკის შეცვლის შესახებ, რადგან პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლად უდევს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და სამხედრო ბლოკებში მისი შეყვანა, გამორიცხავს გერმანიის გაერთიანების შესაძლებლობას.

ასეთია საქმის ვითარება გერმანიის საკითხში, რამდენადაც საქმე ეხება გერმანიის გაერთიანების საგარეო, საერთაშორისო პირობებს.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებობს საშინაო პირობებიც თვით გერმანიაში, რომლებსაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვთ მისი მომავლის საკითხის გადაჭრისათვის.

ახლანდელი გერმანია ის გერმანია აღარ არის, რომელიც არსებობდა 10 წლის წინათ, პირველ ხანებში ჰიტლერული რეჟიმის განადგურების შემდეგ. განვლილ 10 წელიწადში გერმანიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ორი დამოუკიდებელი გერმანული სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა, და ორივე ეს რესპუბლიკა ცნეს სხვა ქვეყნებმა სუვერენულ სახელმწიფოებად. ორივეს დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა აქვს სხვა ქვეყნებთან და ევროპაში შესაბამისი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილენი არიან.

არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის, რომ ორივე ამ სახელმწიფოში ჩამოყალიბდა თავისი ბუნებით სხვადასხვანაირი საზოგადოებრივი და ეკონომიური წყობილება. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხელისუფლების სათავეში არიან მუშები და მათი მოკავშირეები — მშრომელი გლეხები და ინტელიგენცია, რომლებიც დაადგნენ სოციალისტური მშენებლობის გზას და მტკიცედ სწამთ მათ მიერ არჩეული გზის სისწორე. სავსებით გასაგებია, როცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები აცხადებენ, რომ მათ არ შეუძლიათ საფრთხის ქვეშ დააყენონ აღნიშნულ პერიოდში მიღწეული მონაპოვარნი.

გერმანიის გაერთიანების საკითხის გადაჭრისას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ისევე როგორც გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის აზრს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს საკითხი არ შეიძლება გადაიჭრას თვით გერმანელთა მონაწილეობის მიუღებლად.

ყოველივე ეს ნიშნავს, რომ გერმანიაში შექმნილ საერთაშორისო და საშინაო პირობებში შეუძლებელია გერმანიის გაერთიანება მისი ორივე ნაწილის მექანიკური შეერთების გზით და რომ ყოველ ასეთ ცდასა და გეგმას არ შეიძლება წარმატება ჰქონდეს, რადგან ისინი არ ითვალისწინებენ რეალურ ვითარებას. გერმანიის პრობლემის გადაჭრა ახლანდელ პირობებში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ თანდათან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის თანამშრომლობის და მათი ისეთი დაახლოების გზით, რომელიც შეესაბამება მშვიდობისა და პროგრესის ინტერესებს.

ჟენევაში ჩვენ ვერ გამოვნახეთ საერთო ენა გერმანიის საკითხში. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ნომხდარ აზრთა გაცვლას, რომლის დროსაც საბჭოთა დელეგაციამ ნათლად ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია, თავისი მნიშვნელობა ექნება, როცა ოთხი სახელმწიფოს მინისტრები მიმდინარე წლის ოქტომბერში განაახლებენ მოლაპარაკებას იმ საკითხებზე, რომლებიც განიხილა ჟენევის თათბირმა.

საბჭოთა მთავრობას კარგად აქვს წარმოდგენილი, რომ გერმანიის საკითხის გადაჭრის გზაზე საგარეო საქმეთა მინისტრები ცოტა სიძნელეს, ცოტა წყალქვეშა ქვებს როდი წააწყდებიან. ეს გასაგებია, რადგან ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირზე გამოირკვა ორი სხვადასხვა მიდგომა გერმანიის პრობლემის გადაჭრისადმი.

მაგრამ სიძნელეებმა, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიის პრობლემის მოწესრიგებასთან, ვერ უნდა დააბრკოლონ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის წარმატებითი მუშაობა, კერძოდ, მათ ვერ უნდა დააბრკოლონ გადაჭრა ძირითადი, მთავარი საკითხისა, რომელიც უნდა განიხილონ საგარეო საქმეთა მინისტრებმა, — სრულიად ევროპის უშიშროების სისტემის შექმნის საკითხისა.

ჟენევის თათბირზე დიდი ყურადღება მიექცა განიარაღების საკითხს. ეს აიხსნება თვით პრობლემის მნიშვნელობით. შეიარაღებული ძალების განვითარება და შეიარაღების უმაგალითო ზრდა და სრულყოფა წლითიწლობით სულ უფრო ფართო მასშტაბს იღებს, წარმოშობს ხალხთა კანონიერ შეშფოთებას თავიანთი მომავლის გამო. ეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის წარმოებასა და დაგროვებასთან დაკავშირებით.

მოლაპარაკებას შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, რაც თითქმის ათ წელიწადს გრძელდებოდა, როგორც ცნობილია, არ მოჰყვა საჭირო შედეგები. „ცივმა ომმა" და სახელმწიფოთა ურთიერთობაში, უწინარეს ყოვლისა დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობაში, არსებულმა უნდობლობამ გამოიწვია ის, რომ ამ უკანასკნელ წლებში ეს მოლაპარაკება ფაქტიურად ჩიხში მოექცა.

საბჭოთა მთავრობის აზრით, განიარაღების პრობლემის განხილვისას მთავარი ამოცანა ამჟამად ის არის, რომ გამოვნახოთ გზები სახელმწიფოთა პოზიციების დასაახლოებლად ამ საკითხში და საჭირო შეთანხმების მისაღწევად როგორც ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების საკითხში, ისე ატომური იარაღის აკრძალვის საკითხშიც.

სწორედ ამ მიზანს შეესაბამება საბჭოთა მთავრობის 10 მაისის ცნობილი წინადადებანი შეიარაღების საყოველთაო შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების შესახებ. უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ის დადებითი დამოკიდებულება, რომელიც გამოიჩინეს ამ წინადადებებისადმი მსოფლიოს ფართო საზოგადოებრივმა წრეებმა. აგრეთვე ევროპისა და აზიის მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა, რომლებმაც ღირსეულად შეაფასეს ეს წინადადებანი, როგორც საბჭოთა კავშირის ოიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში.

გაითვალისწინა რა, რომ საბჭოთა მთავრობის ეს წინადადებები, შეტანილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ფაქტიურად ჯერ არ ყოფილა განხილული, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს არ გამოუთქვამთ თავიანთი დამოკიდებულება მათდამი, ჩვენი დელეგაცია ჟენევის თათბირზე, ბუნებრივია, უწინარეს ყოვლისა დაინტერესდა აღნიშნულ მთავრობათა დამოკიდებულებით ამ წინადადებებისადმი. ჩვენ ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ საბჭოთა კავშირი დაეთანხმა დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებას ხუთი დიდი სახელმწიფოსათვის შეიარაღებული ძალების დონეთა საკითხზე, სახელდობრ — ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის 1 მილიონიდან 1,5 მილიონამდე კაცის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთისათვის — 650 ათასი კაცის რაოდენობით. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს საფუძველი მოველოდეთ, რომ სამი სახელმწიფო თავის მხრივ ისეთ პოზიციას დაიკავებს ატომური იარაღის საკითხში, რომელიც საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ შეთანხმებას ამ საკითხზე. ამით განიარაღების მთელი პრობლემა რეალურ ნიადაგზე იქნება დაყენებული.

მაგრამ ანგარიში გავუწიეთ რა იმას, რომ ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხზე შეთანხმების მიღწევას შესაძლოა მნიშვნელოვანი დრო დასჭირდეს, ჩვენ წინადადება შევიტანეთ, რომ ჟენევის თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა ახლავე იკისრონ ვალდებულება, პირველმა არ გამოიყენონ ატომური და წყალბადის იარაღი და მოუწოდონ სხვა სახელმწიფოებს ასევე მოიქცნენ.

საბჭოთა კავშირის 10 მაისის წინადადებებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის განხორციელებისადმი საერთაშორისო კონტროლის ეფექტიანი სისტემის შექმნას.

როგორც სამართლიანად აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, „განიარაღების თვითეული გეგმა ამოიწურება კონტროლისა და ინსპექციის საკითხით". ეს საკითხი მართლაც მეტად სერიოზულია. და ჩვენ უნდა ვიპოვნოთ მისი ურთიერთ მისაღები გადაჭრა.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ამჟამად არ არის ისეთი საერთაშორისო კონტროლისათვის საჭირო პირობები, რომელიც ყველა სახელმწიფოს ნდობით სარგებლობდეს და სავსებით შეესაბამებოდეს საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს. ამას დაეთანხმა შეერთებული შტატების მთავრობაც. გასაგებია ის ეჭვი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჟენევის თათბირის წინ გამოთქვა იმის შესახებ, რომ ამჟამად შეიძლებოდეს შეერთებული შტატების „ყველა ქარხანა გაიღოს" „შეუზღუდველი ინსპექციისათვის".

მაშ როგორ მოვიქცეთ? საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ საერთაშორისო კონტროლის დაწესებისა და საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს უფლებათა და რწმუნებათა საკითხი განხილულ უნდა იქნას იმასთან მჭიდრო კავშირში, რომ განხორციელდეს ღონისძიებანი საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად, სახელმწიფოთა შორის ნდობის განსამტკიცებლად და ისეთ ღონისძიებათა მისაღებად, რომლებიც შეეხება შეიარაღების შემცირებას და ატომური იარაღის აკრძალვას.

ჟენევის თათბირზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბ-ნმა დ. ეიზენჰაუერმა წინადადება წამოაყენა მოეწყოს სამხედრო ინფორმაციის გაცვლა საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის და მოხდეს ორივე მხარის ტერიტორიის ურთიერთ აეროფოტოგადაღება.

ჯეროვნად ვაფასებთ რა მისწრაფებას, რომელსაც ეს წინადადება შეიცავს, — გამოინახოს საერთაშორისო კონტროლის ესოდენ რთული პრობლემის გადაწყვეტა, არ შეიძლება ამავე დროს არ ვთქვათ, რომ ამგვარ ღონისძიებას რეალური ეფექტი დიდი არ ექნება.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ხელმძღვანელებთან არაოფიციალურ საუბარში ჩვენ პირდაპირ განვაცხადეთ, რომ აეროფოტოგადაღებას არ შეუძლია მოგვცეს შედეგი, რომელსაც მოველით, რადგან ორივე ჩვენს ქვეყანას თვალუწვდენი სივრცეები აქვს, რომლებზეც, სურვილის შემთხვევაში, შეიძლება დაიმალოს ყველაფერი, რაც გნებავთ. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ წარმოდგენილი გეგმა ეხება ორივე ქვეყნის მხოლოდ საკუთარ ტერიტორიებს და განზე ტოვებს სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე განლაგებულ შეიარაღებულ ძალებსა და სამხედრო ნაგებობებს.

ჩვენ უფრო რეალურად და უფრო ეფექტიანად მიგვაჩნია ის დეტალურად შემუშავებული წინადადებანი საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ 10 მაისს შეიტანა. ეს წინადადებანი საშუალებას იძლევიან შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის ღონისძიებათა განხორციელების პირველ ეტაპზევე მიეცეს საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს ფართო უფლებები და რწმუნებანი.

საბჭოთა მთავრობამ თავის 10 მაისის წინადადებებში მხარი დაუჭირა კონტროლის ძალიან რადიკალურ მეთოდს, სახელდობრ იმას, რომ საერთაშორისო საკონტროლო ორგანომ ერთ სახელმწიფოზე მეორე სახელმწიფოს უეცარი თავდასხმის თავიდან აცილების მიზნით დაუყოვნებლივ შექმნას საკონტროლო საგუშაგოები ყველა შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ნაცვალგების საწყისებზე. ჩვენ მოვითხოვეთ ამ საგუშაგოების შექმნა დიდ ნავსადგურებში, რკინიგზის კვანძებზე, ავტომაგისტრალებსა და აეროდრომებზე. ისინი განახორციელებდნენ იმაზე მეთვალყურეობას, რომ არ ხდებოდეს სამხედრო სახმელეთო ძალების, აგრეთვე სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების საშიში კონცენტრაცია და გადაყვან-გადმოყვანა.

საბჭოთა დელეგაციამ ჟენევაში გამოთქვა სურვილი, რომ შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების რაოდენობის შემცირება დაიწყოს დაუყოვნებლივ. ჩვენ შევიტანეთ წინადადება, რომ ოთხმა სახელმწიფომ უჩვენოს მაგალითი ამ მხრივ და შეამციროს თავისი სამხედრო კონტინგენტები ჯარების იმ რაოდენობით, რომელიც ავსტრიის ტერიტორიიდან გაჰყავთ. მოქმედებს რა ამ წინადადების სულისკვეთებით, საბჭოთა მთავრობამ ამ დღეებში გადაწყვიტა 1 ოქტომბრამდე გაიყვანოს ავსტრიაში განლაგებული მთელი საბჭოთა ჯარები საბჭოთა ტერიტორიაზე და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების საერთო რიცხვი შეამციროს ავსტრიიდან გამოყვანილი ჯარების რაოდენობით. დანარჩენი სამი სახელმწიფოს მიერ ანალოგიური ღონისძიების განხორციელება ხელს შეუწყობს საერთაშორისო ნდობის ატმოსფეროს დამყარებას და შეიარაღების შემცირების ინტერესების შესაბამისი იქნება.

ყველა ჩვენი წინადადება ისახავს ერთ მარტივ და ნათელ მიზანს — მივაღწიოთ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას, გავათავისუფლოთ ხალხები ომის შიშისაგან, ჩავუნერგოთ მათ იმის რწმენა, რომ შეუძლიათ მშვიდად იცხოვრონ და იშრომონ მომავალ თაობათა საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამას დაბეჯითებით მოითხოვს ასეულ მილიონობით ადამიანი. ამ მხრივ დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ჟენევაში ყოფნის დროს საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ მრავალი წერილი მიიღო ბევრი ქვეყნის სულ სხვადასხვა ორგანიზაციისა და ცალკეული პირებისაგან. იმ დღეებში ჟენევაში მოდიოდნენ ასობით დელეგაციები საფრანგეთიდან, გერმანიის ორივე ნაწილიდან და სხვა სახელმწიფოებიდან. ყველა ისინი მტკიცედ მოითხოვდნენ „ცივი ომის" შეწყვეტას და ადამიანთა მშვიდობიანი და წყნარი ცხოვრებისათვის საჭირო პირობების შექმნას.

ჩვენ, რა თქმა უნდა არ ვფიქრობდით, რომ მოვახერხებდით საბჭოთა დელეგაციის მიერ შეტანილ ყველა წინადადებაზე შეთანხმებას ჟენევაში 5-6 დღის განმავლობაში. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ასეთ საკითხებზე შეთანხმების მიღწევა მოითხოვს დროს, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება ისეთ რთულ პრობლემას, როგორიც არის საერთაშორისო კონვენციის დადება შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ამ ღონისძიებათა განხორციელებისადმი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ. ამიტომ ჩვენ შევიტანეთ წინადადება, რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურებმა აღნუსხონ თავიანთი შეხედულებანი იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ მათი თვალსაზრისი არსებითად ემთხვევა ან მნიშვნელოვნად უახლოვდება ერთმანეთს. ეს შეეხება უწინარეს ყოვლისა ხუთი სახელმწიფოს შეიარაღების ჩემ მიერ ხსენებულ დონეებს, ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხის სტადიობით გადაჭრას, აგრეთვე საერთაშორისო კონტროლს. ჩვენ ვემყარებოდით იმას, რომ ჟენევის თათბირზე ასეთი შეთანხმება განიარაღების ზოგიერთ მთავარ საკითხზე დიდად გააადვილებდა ამ პრობლემის შემდგომ განხილვას და აღნიშნული საერთაშორისო კონვენციის დადებას.

განიარაღების პრობლემის არსის შესახებ გადაწყდა გაგრძელდეს შეთანხმების გზების ძიება. ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებს მიეცათ შესაბამისი დირექტივა.

მეოთხე საკითხი, რომელიც ჟენევის თათბირის დღის წესრიგში იდგა, იყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების განვითარების საკითხი.

საბჭოთა კავშირი ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის, სახელმწიფოთა შორის ეკონომიური, მეცნიერული და კულტურული კავშირის ყოველმხრივ განვითარების მომხრე იყო და არის. ჩვენ უაღრესად სასარგებლოდ მიგვაჩნია ქვეყნებს შორის დელეგაციების გაცვლა და მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების მოღვაწეთა, საზოგადო მოღვაწეთა ურთიერთ გამგზავრება. ჩვენ აგრეთვე ტურიზმის განვითარების მომხრე ვართ.

ჩვენ დადებითად ვაფასებთ ისეთ ფაქტებს, როგორიც არის სასოფლო-სამეურნეო დელეგაციების გაცვლა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, და კმაყოფილებას გამოვთქვამთ იმის გამო, რომ საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის მუშაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ამერიკის დელეგაციისა საბჭოთა კავშირში კეთილსასურველ ატმოსფეროში მიმდინარეობს.

ამჟამად დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის უკვე წარმოებს მოლაპარაკება კულტურული თანამშრომლობის დარგში ურთიერთობის განვითარების საკითხზე. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდება. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ იდენთან არაოფიციალური მოლაპარაკების მსვლელობაში ჩვენ დადებითად განვიხილეთ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებისა და სამხედრო დელეგაციების ურთიერთ ვიზიტების მოწყობის საკითხი.

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების საკითხის განხილვა ჟენევაში დამთავრდა იმით, რომ მთავრობათა მეთაურების თათბირმა პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერის წინადადებით მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

„საგარეო საქმეთა მინისტრებმა ექსპერტთა საშუალებით უნდა შეისწავლონ ღონისძიებანი, მათ შორის შესაძლო ღონისძიებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებსა და დაწესებულებებში, რომელთა მეოხებით შეიძლება (ა) თანდათანობით მოისპოს ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიან თავისუფალ ურთიერთობას და მშვიდობიან ვაჭრობას ხალხებს შორის, და (ბ) განხორციელდეს თავისუფალი კონტაქტები და კავშირურთიერთობა, რაც ურთიერთხელსაყრელია დაინტერესებული ქვეყნებისა და ხალხებისათვის".

ეჭვი არ არის, რომ წარმატება ამ საქმეში, რომელიც, რამდენადაც ლაპარაკია ოთხი სახელმწიფოს ურთიერთობაზე, ჯერ სრულიადაც არ განვითარებულა სათანადოდ, ბევრად შეუწყობდა ხელს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, სახელმწიფოთა ურთიერთნდობის განმტკიცებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

საბჭოთა მთავრობამ, როგორც უკვე აღვნიშნე, წინადადება წამოაყენა, რომ ჟენევის თათბირს განეხილა აგრეთვე აზიისა და შორეული აღმოსავლეთის მომწიფებული პრობლემები. თუმცა არ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, რომ საჭიროა ამ საკითხების ოფიციალური წესით განხილვა ჟენევის თათბირზე, მაგრამ ჩვენ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციების ხელმძღვანელ მოღვაწეებთან გვქონდა აზრთა არაოფიციალური გაცვლა ამ საკითხებზე. სხდომების გარეშე ამ არაოფიციალური საუბრების მსვლელობაში აღიძრა ინდოჩინეთის საკითხი ჟენევის 1954 წლის შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთობის საკითხები. ბუნებრივია, რომ ჩვენ მთავარ ყურადღებას ვაქცევდით საკითხს ტაივანისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებების შესახებ. საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, რომ აზრთა აღნიშნული გაცვლა ხელს შეუწყობს ამ საკითხების მოწესრიგებას ჩინელი ხალხისა და აზიის სხვა ხალხების კანონიერი უფლებებისა და შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის დაცვის ინტერესების შესაბამისად.

აქ საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ახალ, უაღრესად საგულისხმო წინადადებებს, რომლებიც მიმართულია გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებისაკენ და კეთილსასურველ პერსპექტივებს ქმნის აზიის რაიონში და წყნარი ოკეანის აუზში საერთაშორისო ნდობის დამყარებისათვის. საბჭოთა მთავრობა სავსებით უჭერს მხარს ამ წინადადებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ამხ. ჯოუ ენ-ლაის განცხადებაში „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის შესახებ", რომელიც მან გააკეთა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მეორე სესიაზე 30 ივლისს.

ჟენევის თათბირმა თავისი მუშაობის დასასრულს მიიღო მთავრობათა მეთაურების შეთანხმებული დირექტივები ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებისადმი ოთხსავე საკითხზე, რომლებიც ჟენევის თათბირმა განიხილა: ევროპის უშიშროება, გერმანიის საკითხი, განიარაღება და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების განვითარება. ეს დირექტივები იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ისინი გამოხატავენ თათბირის ყველა მონაწილის მისწრაფებას — აღნიშნულ პრობლემათა უფრო დეტალური განხილვით გამონახონ შესაძლებლობა სახელმწიფოთა შორის საჭირო შეთანხმების მისაღწევად. სწორედ ამაშია ჟენევაში მიღებული დირექტივების დიდი მნიშვნელობა.

## III.

## ჟენევის თათბირის შედეგები. ჩვენი დასკვნები

ვაჯამებთ რა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგებს, საჭიროა გავიხსენოთ, რომ ჟენევაში გამგზავრების წინ ჩვენ განვაცხადეთ, რომ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ყველა რთული საერთაშორისო პრობლემა გადაიჭრება რამდენიმე დღეში. მხოლოდ იმ ადამიანებს შეეძლოთ ამის იმედი ჰქონოდათ, რომლებსაც სასწაული სწამთ. ამავე დროს ჩვენ გადაჭრით უარვყავით დაუსაბუთებელი პესიმიზმი.

ცხოვრებამ დაადასტურა მდგომარეობის ასეთი შეფასების სისწორე. ახლა ვერავინ უარყოფს, რომ ჟენევის თათბირს მოჰყვა მნიშვნელოვანი დადებითი შედეგები, რომლებმაც შეიძლება კიდევ უფრო იჩინოს თავი მომავალში. ჟენევის თათბირმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახელმწიფოთა და უწინარეს ყოვლისა დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების საქმეში, მათ შორის საჭირო ნდობის აღდგენის საქმეში.

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების შეხვედრა, რომელმაც თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა, უეჭველია, ღრმა კვალს დატოვებს საერთაშორისო ურთიერთობაზე და კეთილ გავლენას მოახდენს მის განვითარებაზე მომავალში. დიდი მნიშვნელობა აქვს ოთხი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელ მოღვაწეთა შორის პირადი კონტაქტის დამყარებას.

სასიხარულო იყო თანამშრომლობისა და ურთიერთგაგებისადმი მისწრაფების სულისკვეთება, რომელიც თათბირზე სუფევდა. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა არაოფიციალური შეხვედრების დროს, რომლებიც ყველა საკითხზე აზრთა გულახდილი გაცვლის შესაძლებლობას იძლეოდა. საჭიროა განსაკუთრებით აღინიშნოს, რომ ჩვენ არ შევხვედრივართ სხვა განწყობილებას ჟენევის თათბირზე, პირიქით, ყველა ეძებდა შესაძლებლობას შეერიგებინა თვალსაზრისები პრაქტიკულ საკითხებზე, რომლებსაც თათბირი განიხილავდა, მიუხედავად განსახილველი პრობლემების არსში პოზიციების სხვადასხვაობისა.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან ერთად ჩვენ გამოვარკვიეთ განსახილველ საკითხებში ჩვენი პოზიციების დაახლოების წერტილები, უფრო ნათლად წარმოვიდგინეთ ჩვენი უთანხმოებანი და გადავწყვიტეთ კვლავ ვეძებოთ გზები საჭირო შეთანხმებათა მისაღწევად. ეჭვი არ გვეპარება, რომ შემდგომი მოლაპარაკების გზით შეიძლება გადაილახოს არსებული სიძნელეები და გამოინახოს სადავო საკითხების გადაწყვეტა მშვიდობის საქმის ინტერესებისათვის. **(ტაში).**

თათბირზე შემუშავებული დირექტივები ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებისათვის შედეგია ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებების ძიებისა, რომლის დროსაც გათვალისწინებული იყო მოლაპარაკების ყველა მონაწილის ინტერესები. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება გადაიჭრას საერთაშორისო პრობლემები. „ძალის პოზიციის" პოლიტიკა ჟენევაში გვერდზე იყო გადადებული. ამას შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ, მით უმეტეს, რომ ჟენევის მოლაპარაკების კონსტრუქციული სულისკვეთება ამჟამად კვლავ თავის კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობაზე. მაგალითად, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ უკანასკნელ დღეებში ამერიკის შეერთებულ შტატებშიც და ინგლისშიც გამოითქვა მომავალი დიპლომატიური შეხვედრებისათვის დიდმნიშვნელოვანი მოსაზრებანი, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობის პრინციპი უნდა იყოს „მოლაპარაკება და არა ძალა".

ჩვენ გვწამდა, რომ ჟენევის თათბირი დადებით შედეგებს გამოიღებდა, და ჩვენ არ შევმცდარვართ. ჩვენ ახლა გვწამს, რომ მომავალში კეთილი ნების არსებობისას და ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების გათვალისწინებისას ოთხი სახელმწიფო მიაღწევს ახალ დადებით შედეგებს დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების განხილვისა და მოწესრიგების საქმეში.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენების დასასრული

ჟენევის თათბირი მოიწონეს მსოფლიოს უაღრესად ფართო საზოგადოებრივ წრეებში. ხალხები მიესალმებიან მის შედეგებს როგორც მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში თავიანთი მეცადინეობის დიდმნიშვნელოვან შედეგს. ამასთან ერთად ისინი გამოთქვამენ მტკიცე გადაწყვეტილებას განაგრძონ ეს მეცადინეობა, რათა ბოლომდე მიიყვანონ დაწყებული საქმე. მთლიანად ჟენევის თათბირის შედეგებს სამართლიანად აფასებენ როგორც სერიოზულ ნაბიჯს მშვიდობისაკენ და „ცივი ომის“ შეწყვეტისაკენ.

ჟენევის თათბირის წარმატებას კმაყოფილებით აღნიშნავენ აგრეთვე სახელმწიფოთა ხელმძღვანელ წრეებში.

ჟენევის თათბირის შედეგების გამო განცხადებები გააკეთეს მისმა მონაწილეებმა — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ა. იდენმა, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ე. ფორმა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ განცხადებაში არის თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების ის სულისკვეთება, რომელმაც ხელი შეუწყო ჟენევის თათბირის წარმატების უზრუნველყოფას და დასახა სახელმწიფოთა ურთიერთობაში ნდობის შემდგომი განმტკიცების პერსპექტივები. კერძოდ, ჩვენ მივესალმებით პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერის განცხადებას იმის შესახებ, რომ საჭიროა „ვიაროთ წინ კონსტრუქციული გზით და არა უბრალოდ გავიმეოროთ წარსულის სამწუხარო მოქმედება — ნეგატიური მოქმედება“.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ წრეებში ამ ბოლო დროს თავს იჩენს მისწრაფება — გააკეთონ შესაბამისი დასკვნები და ხელი შეუწყონ საერთაშორისო ურთიერთობის ნორმალიზაციას. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოჩნდნენ ძალები, რომლებიც ამ მიმართულებით მოქმედებენ. მაგალითად, უადგილო არ იქნება ვახსენოთ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის უოლტერ ჯორჯის გამოსვლა, რომელიც მოითხოვს უახლოეს დროში სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობით. ბ-ნ ჯორჯს სამართლიანად მიაჩნია, რომ ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობის ნორმალიზაცია უზრუნველყოფს მნიშვნელოვან წარმატებას შორეულ აღმოსავლეთში დაძაბულობის შენელების გზაზე.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მსოფლიო პრესის მეტი წილი ორგანოები დადებით შეფასებას აძლევენ ჟენევის თათბირის შედეგებს.

მაგალითად, გავლენიანი ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს:

„დასავლეთში კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობა გაქრა ჯერ კიდევ ზედაფენების თათბირამდე. მაგრამ დიდი ოთხეულის იმ ურთიერთობის შედეგად, რომელიც ახლა დამყარდა, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მიღებულ იქნება ყველა ღონისძიება, რათა თავიდან აცილებული იქნას სერიოზული უსიამოვნებანი აზიაში“.

ინგლისში ყველაზე გავრცელებულმა გაზეთმა „ნიუს ოფ უორლდმა“ გამოაქვეყნა ინგლისის პარლამენტის წევრის კონსერვატორ ბუტბის სტატია. ბუტბი ჟენევის თათბირს ახასიათებს როგორც „მორალური ძალების დიდ გამარჯვებას მთელ მსოფლიოში, რომლებიც სულ უფრო მეტ გავლენას მოახდენენ ყველა მთავრობაზე მშვიდობის საქმის სასარგებლოდ“.

დამახასიათებელია ფრანგული გაზეთის „პოპულერის“ შემდეგი აზრი: „რასაკვირველია, მინისტრებისათვის მიცემული დირექტივები არ წყვეტენ დასახულ პრობლემებს. მაგრამ უკვე ის ფაქტი, რომ დირექტივები ჩამოყალიბებულ იქნა, ცხადყოფს ოთხი დიდი სახელმწიფოს მისწრაფებას მშვიდობისადმი. ნუ შევქმნით ილუზიებს. სიძნელენი ჯერ კიდევ წინ არის. მაგრამ ჟენევაში შეიქმნა ახალი ატმოსფერო. და ეს გვაძლევს საფუძველს იმედისათვის... ჟენევაში, სადაც შეწყდა ცივი ომი, დაისახა მტკიცე მშვიდობის პერსპექტივა“.

ჟენევის თათბირის დროს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ა. იდენსა და საბჭოთა კავშირის დელეგაციას შორის განხილულ იქნა საკითხი ორი ქვეყნის ურთიერთობის განმტკიცების შესაძლებლობის შესახებ. თქვენ იცით პრესის ცნობებიდან, რომ მე და ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ბ-ნმა ა. იდენმა მიგვიწვია ინგლისში და ჩვენ მივიღეთ ეს მიწვევა. ამის გამო გამოქვეყნდა ბრიტანეთის მთავრობასთან შეთანხმებული შემდეგი კომუნიკე: „ჟენევის თათბირის დროს შეერთებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ განიხილეს საკითხი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მათ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განმტკიცებას იმ პირადი კონტაქტის განგრძობის გზით, რომელიც მათ ჟენევაში დაამყარეს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღეს სერ ანტონი იდენის მიწვევა შეერთებულ სამეფოში მომავალი წლის გაზაფხულზე“.

საბჭოთა მთავრობა დადებითად მოეკიდა ბრიტანეთის მთავრობის ინიციატივას, რადგან დარწმუნებულია, რომ მაღალ დონეზე პირადი კონტაქტების განვითარებას დიდი მნიშვნელობა ექნება საქმიანი თანამშრომლობის იმ ატმოსფეროს შენარჩუნებისათვის, რომელიც ჟენევის თათბირზე დამყარდა.

ინგლისის პარლამენტმა ერთსულოვნად მოიწონა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ა. იდენის ცნობა ინგლისში სსრ კავშირის ხელმძღვანელ მოღვაწეთა მომავალი ჩასვლის შესახებ. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო აგრეთვე ერთსულოვნად მოიწონებს ჩვენს გადაწყვეტილებას დიდ ბრიტანეთში წასვლის შესახებ. (ტაში).

საბჭოთა მთავრობა მომხრეა სახელმწიფოს ხელმძღვანელ მოღვაწეთა შორის პირადი კონტაქტისა, ცდილობს განამტკიცოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის და გადაწყვიტა მოიწვიოს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ფორი და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი პინე ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირში მათთვის მოსახერხებელ დროს. (ტაში).

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საფრანგეთის მთავრობა მიიღებს ამ წინადადებას.

საბჭოთა კავშირში საფრანგეთის მთავრობის ხელმძღვანელთა ჩამოსვლა და მათთან პირადი კონტაქტი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობის შემდგომ კეთილნაყოფიერ განვითარებას.

ამხანაგო დეპუტატებო!

ჟენევის თათბირის შედეგები მთელი სიცხადით ადასტურებენ საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის სისწორეს, რომლის მიზანია სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფა. ემყარება რა მთელი საბჭოთა ხალხის მხარდაჭერას, საბჭოთა მთავრობა კვლავაც ივლის ამ გზით. (ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირმა კარგი საფუძველი ჩაუყარა ჩვენი ოთხივე ქვეყნის იმ თანამშრომლობის განახლებას, რომელიც წარმატებით ვითარდებოდა მეორე მსოფლიო ომის წლებში ერთობლივ ბრძოლაში აგრესორის წინააღმდეგ, მაგრამ დაირღვა ომისშემდგომ პერიოდში. ახლა ამოცანა ის არის, რომ განვავითაროთ ასეთი თანამშრომლობა გულწრფელი საქმიანი კონტაქტისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, რომელიც ჟენევაში შეიქმნა.

ჟენევის თათბირის მონაწილე ოთხი სახელმწიფოს ერთობლივი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია „ცივი ომის“ ლიკვიდაცია და მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების შეთანხმებული გადაწყვეტა, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ჟენევის თათბირის შედეგებმა გვიჩვენა შემდეგი:

ჯერ ერთი, თათბირმა გარკვევით შეუწყო ხელი საერთაშორისო ვითარებაში დაძაბულობის შემდგომ შენელებას და ჩვენ იმედი გვაქვს იგი ხელს შეუწყობს კეთილშობილური მიზნის მიღწევას — მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფას. საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რათა ეს მიზანი მიღწეულ იქნას.

მეორე, თათბირის პერიოდში ოთხი სახელმწიფოს სახელმწიფო მოღვაწეთა პირადი კონტაქტი უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა და მას ნაკლები მნიშვნელობა როდი ჰქონდა, ვიდრე ოფიციალურ მოლაპარაკებას.

საბჭოთა მთავრობა მზად არის კვლავაც შეუწყოს ხელი სახელმწიფო მოღვაწეთა კონტაქტების განვითარებას და განმტკიცებას.

მესამე, ჟენევის თათბირმა საფუძველი ჩაუყარა დიდმნიშვნელოვან მობრუნებას ოთხ სახელმწიფოს შორის, და არა მარტო ამ სახელმწიფოებს შორის, ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ. ეს მობრუნება, როგორც ჩვენ ვიმედოვნებთ, შეწყვეტს „ცივ ომს“, თუ თვითეული მხარე გამოიჩენს კეთილ ნებას და გულწრფელ მისწრაფებას თანამშრომლობისადმი.

საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა და კვლავაც იხმარს, რათა ბოლო მოუღოს „ცივ ომს“, რათა მოსპოს დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობაში, რათა უზრუნველყოს მტკიცე მშვიდობა მთელ მსოფლიოში. (მქუხარე ტაში).

ჟენევის თათბირი გვიჩვენებს, რომ მან დადებითი შედეგები მოიტანა მშვიდობის საქმისათვის.

მაგრამ ჩვენ კვლავ უნდა ვეძებოთ მოუწესრიგებელი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის გზები, და ამ თვალსაზრისით ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალ თათბირს ოქტომბერში დიდი მნიშვნელობა აქვს.

მთავრობათა მეთაურების მიერ დამტკიცებული დირექტივების შესაბამისად საგარეო საქმეთა მინისტრებმა უნდა განაგრძონ განხილვა და წარმოადგინონ ეფექტიანი ღონისძიებანი ევროპის უშიშროების საკითხის, გერმანიის პრობლემის, განიარაღებისა და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტის განვითარების საკითხების გადასაჭრელად. ამ რთული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის გზაზე საგარეო საქმეთა მინისტრები აუცილებლად შეხვდებიან სიძნელეებს.

მაგრამ ეს სიძნელეები დაუძლეველი არ არის.

ჩვენ იმედი გვაქვს, თუ საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალი თათბირის ყველა მონაწილე ისეთ მისწრაფებას გამოიჩენს თანამშრომლობისა და შეთანხმების მიღწევისადმი, რომელიც ახასიათებდა ატმოსფეროს, რაც მთავრობათა მეთაურების შეხვედრაზე სუფევდა, ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები წარმატებებს მიაღწევენ გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგების საქმეში.

საბჭოთა მთავრობა თავის მხრივ ყოველ ღონეს იხმარს, რათა მომავალ შეხვედრაზე ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა წარმატებით გადაწყვიტონ მათ წინაშე მდგომი ამოცანები.

საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების, სახელმწიფოთა შორის ნდობისა და თანამშრომლობის დამყარების გზაზე მიღწეულია პირველი წარმატებანი. მაგრამ ჩვენ თვალს არ ვარიდებთ სიძნელეებს, რომლებიც მოგველის. ჩვენ ვიცით, რომ ჟენევის მოლაპარაკება მხოლოდ დასაწყისია დიდი და ძნელი მუშაობისა, რომლის მიზანია სახელმწიფოთა შორის ნამდვილი ნდობის დამყარება და მშვიდობის განმტკიცება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ აღმოჩნდება ძალები, რომლებიც ეცდებიან ხელი შეუშალონ ამ მიზნის მიღწევას. ეს მოითხოვს სიმტკიცესა და შეუპოვრობას ხალხთა შორის მშვიდობისათვის ბრძოლაში. ეს გვაიძულებს კვლავაც განვამტკიცოთ ჩვენი სამშობლოს ძლიერება, განვავითაროთ ჩვენი სოციალისტური ეკონომიკა, სათანადო სიფხიზლე და ზრუნვა გამოვიჩინოთ საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობისათვის.

საბჭოთა მთავრობამ ყოველი ღონე იხმარა, რათა ხელსაყრელი პირობები შეექმნა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირის წარმატებითი მუშაობისათვის. იგი არ დაიშურებს ძალებს, რათა ჟენევის თათბირის გადაწყვეტილებანი განხორციელდეს საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის. ეყრდნობა რა საბჭოთა ხალხისა და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთა მძლავრ მხარდაჭერას, საბჭოთა მთავრობა კვლავაც განუხრელად განახორციელებს პოლიტიკას, რომლის მიზანია საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შემდგომი შენელება, იბრძოლებს მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

# მსოფლიო პროლეტარიატის გენიალური ბელადი და მასწავლებელი

**ფ. ენგელსის გარდაცვალების 60 წლისთავის გამო**

60 წლის წინათ, 1895 წლის 5 აგვისტოს, გარდაიცვალა მეცნიერული კომუნიზმის დიადი მოძღვრების ერთ-ერთი ფუძემდებელი, მსოფლიო პროლეტარიატის გენიალური ბელადი და მასწავლებელი ფრიდრიხ ენგელსი. დიდი ლენინის თქმით, კარლ მარქსის შემდეგ ფ. ენგელსი ყველაზე შესანიშნავი მეცნიერი იყო ცივილიზებულ მსოფლიოში, ამასთან იგი იყო თანამედროვე პროლეტარიატის დიდი მასწავლებელიც.



ფ. ენგელსის სახელი კ. მარქსის სახელთან ერთად ისტორიაში შევიდა როგორც ახალი, ყოვლისმძლე მოძღვრების — მარქსიზმის შემქმნელისა.

მარქსიზმი პროლეტარიატის იდეოლოგიაა. მისი წარმოშობის აუცილებლობა განაპირობა კაპიტალიზმის განვითარებამ და პროლეტარიატის დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ძალად მომწიფებამ. ამასთან მისი წარმოშობა, გვასწავლის ვ. ი. ლენინი, შეუძლებელი იყო მსოფლიო ცივილიზაციის შარაგზისაგან დამოუკიდებლად ისე, რომ არ ყოფილიყო სათანადო თეორიული წყაროები. მარქსიზმი კანონიერი მემკვიდრეა ყოველივე იმ საუკეთესოსი, რაც მოგვცა მე-19 საუკუნის აზროვნებამ გერმანული კლასიკური ფილოსოფიის, ინგლისური კლასიკური პოლიტეკონომიისა და ფრანგული უტოპიური სოციალიზმის სახით. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ამ წყაროების კრიტიკულად დაძლევისა და გადამუშავების შედეგად შექმნეს მარქსიზმი მისი სამი შემადგენელი ნაწილით, როგორიც არის: მარქსისტული ფილოსოფია, მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია და მეცნიერული კომუნიზმის თეორია.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ შექმნილი თანმიმდევრული მეცნიერულ-რევოლუციური ფილოსოფია წარმოადგენს პროლეტარიატის უდიდეს სულიერ იარაღს ობიექტური სინამდვილის შეცნობისა და რევოლუციური გარდაქმნისათვის.

განუსაზღვრელად დიდი როლი შეასრულა ფ. ენგელსმა მეცნიერული პოლიტიკური ეკონომიის შექმნის საქმეში. ფ. ენგელსის მიერ 1844 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკული ნარკვევები“, რომელსაც კ. მარქსმა ახალი, პროლეტარული პოლიტიკური ეკონომიის გენიალური ნარკვევები უწოდა, წარმოადგენდა პირველ ნაბიჯს და სერიოზულ მონახაზს მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის შექმნისათვის. ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ფ. ენგელსის ამ ნაშრომის დიდი ზეგავლენა კ. მარქსზე, როცა აღნიშნავს, რომ ენგელსთან ურთიერთობამ უდავოდ ხელი შეუწყო იმას, რომ მარქსმა გადაწყვიტა ემუშავნა პოლიტიკურ ეკონომიაში, იმ მეცნიერებაში, რომელშიც შემდეგ მისმა შრომებმა მთელი გადატრიალება მოახდინა. ფ. ენგელსს უდიდესი წვლილი მიუძღვის თვით „კაპიტალის“ შექმნაშიც. კ. მარქსმა თავის სიცოცხლეში „კაპიტალის“ მხოლოდ პირველი ტომი გამოაქვეყნა, დანარჩენი ტომების დასაბეჭდად მომზადება კი ვერ მოასწრო. თავისი გენიალური მეგობრის ამ უდიდესი თეორიული მემკვიდრეობის დამუშავებისა და გამოქვეყნების მეტად რთული და კეთილშობილური ამოცანის შესრულება ფ. ენგელსმა იკისრა. მან დაამუშავა და 1885 წელს გამოსცა „კაპიტალის“ მეორე ტომი, ხოლო 1894 წელს — მესამე ტომი და ამით სამარადისო ძეგლი აუგო თავის მეგობარს.

საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების აღმოჩენით, ისტორიული მოვლენების ღრმა ეკონომიური და ფილოსოფიური დასაბუთებით კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად აქციეს. როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, „მარქსი და ენგელსი პირველნი იყვნენ, რომელთაც თავიანთ მეცნიერულ შრომებში განმარტეს, რომ სოციალიზმი მეოცნებეების გამოგონება კი არ არის, არამედ თანამედროვე საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების საბოლოო მიზანი და აუცილებელი შედეგია“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 2, გვ. 5-6).

მეცნიერული კომუნიზმის ისეთ უმნიშვნელოვანეს პირველ პროგრამულ დოკუმენტებში, როგორიც არის ფ. ენგელსის ნაშრომები: „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, „კომუნიზმის პრინციპები“, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომი — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, აღმოჩენილი და დასაბუთებულია პროლეტარიატის, როგორც ახალი სოციალისტური საზოგადოების შემოქმედის, მსოფლიო-ისტორიული როლი.

ინგლისის მუშათა კლასის მდგომარეობის ღრმად შესწავლის საფუძველზე „ენგელსმა **პირველმა** სთქვა, რომ პროლეტარიატი **არ არის მხოლოდ** დატანჯული კლასი; რომ სწორედ ის სამარცხვინო ეკონომიური მდგომარეობა, რომელშიც პროლეტარიატი იმყოფება, შეუჩერებლად მიაქანებს მას წინ და აიძულებს იბრძოლოს თავისი საბოლოო განთავისუფლებისათვის. ხოლო მებრძოლი პროლეტარიატი **თვითონ უშველის თავის თავს.** მუშათა კლასის პოლიტიკური მოძრაობა აუცილებლად მიიყვანს მუშებს იმის შეგნებამდე, რომ სოციალიზმის გარეშე მათ გამოსავალი არა აქვთ. მეორე მხრივ, სოციალიზმი მხოლოდ მაშინ გადაიქცევა ძალად, როდესაც იგი მუშათა **კლასის პოლიტიკური** ბრძოლის მიზანი გახდება“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 2, გვ. 10).

აღმოაჩინეს რა პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლი, კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა გააჩაღეს ბრძოლა მუშების დარაზმვისა და გაერთიანებისათვის ინტერნაციონალური ლოზუნგით „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, მათ შექმნეს პირველი კომუნისტური პარტია — „გერმანიის კომუნისტების კავშირი“, ჩამოაყალიბეს პირველი ინტერნაციონალი და თეორიულად დაამუშავეს საერთაშორისო მუშათა სოციალისტური მოძრაობის პროგრამული, სტრატეგიული, ტაქტიკური და ორგანიზაციული საკითხები, ამასთან დიდ პრაქტიკულ მუშაობას ეწეოდნენ ინტერნაციონალის განმტკიცებისათვის.

ფ. ენგელსი შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა მუშათა მოძრაობაში ყველა ჯურის ანტიმარქსისტულ, ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ. იგი ამხილებდა და აცამტვერებდა გერმანელ რეფორმისტებს, ფრანგ პოსიბილისტებს, ინგლისელ ფაბიანელებს, რუს ნაროდნიკებს, ანარქისტებს და მარქსიზმის წინააღმდეგ ამხედრებულ სხვა მტრულ მიმდინარეობებს. მან მკაცრად გააკრიტიკა სოციალისტური პარტიის ბელადების ლიბკნეხტის, ბებელის, ლაფარგის და სხვების შეცდომები.

ფ. ენგელსი მუშათა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის საყოველთაოდ აღიარებული ხელმძღვანელი იყო. ყველა ქვეყნის მუშათა წარმომადგენლები მას მიმართავდნენ რჩევისათვის და ყოველთვის იღებდნენ მისგან საჭირო დარიგებას და სახელმძღვანელო მითითებებს. სახელმწიფოთა და ხალხთა ისტორიის ღრმა ცოდნა, ევროპული ენების ცოდნა, მშრომელთა ინტერესებისათვის თავდადება, მგზნებარე რევოლუციური ბუნება, ექსპლოატატორებისადმი დიდი სიძულვილი საშუალებას აძლევდა მას ეწარმოებინა გიგანტური თეორიული და პრაქტიკული — რევოლუციური მუშაობა მთელ მსოფლიოში სოციალისტური მოძრაობის წარსამართავად.

ფ. ენგელსი კ. მარქსთან ერთად დიდ ინტერესს იჩენდა რუსეთისადმი. მან შეისწავლა რუსული ენა და დედანში კითხულობდა რუსი მოღვაწეების უმნიშვნელოვანეს ნაწერებს, თვალყურს ადევნებდა რუსეთის მუშათა მოძრაობას და კავშირი ჰქონდა რუს რევოლუციონერებთან.

რუსეთის სოციალ-ეკონომიური პირობების ყოველმხრივ და გულდასმით შესწავლამ ფ. ენგელსს საშუალება მისცა მკაცრად გაეკრიტიკებინა თემური სოციალიზმის ნაროდნიკული თეორია და მოეცა რუსეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობის განვითარების ბრწყინვალე პერსპექტივების მეცნიერული განჭვრეტა. რუსეთის რევოლუციის მოახლოების შესახებ ფ. ენგელსი 1885 წელს წერდა: „იმას, რაც მე ვიცი ანდა ვფიქრობ, რომ ვიცი რუსეთის მდგომარეობის შესახებ, იმ აზრამდე მივყავარ, რომ რუსები თავიანთ 1789 წელს უახლოვდებიან. რევოლუცია გარკვეული დროის განმავლობაში უნდა მოხდეს, მაგრამ იგი **შეიძლება** მოხდეს ყოველდღე. ასეთ პირობებში ქვეყანა დამუხტულ ნაღმს ჰგავს, რომელსაც მხოლოდ პატრუქის დადებაღა სჭირდება“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, გვ. 426, 1949 წ.).

თავიანთი მრავალმხრივი და გიგანტური მოღვაწეობა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მჭიდრო თანამშრომლობისა და განსაკუთრებული, გულითადი მეგობრობის საფუძველზე ააგეს. „ძველებური გადმოცემები, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მოგვითხრობენ მეგობრობის სხვადასხვა ამაღელვებელ მაგალითს. ევროპის პროლეტარიატს შეუძლია სთქვას, რომ მისი მეცნიერება შექმნა ორმა სწავლულმა და მებრძოლმა, რომელთა ურთიერთობა აღემატება თვით ძველთა ყველაზე ამაღელვებელ თქმულებებს ადამიანთა მეგობრობის შესახებ“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 2, გვ. 14).

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თანამშრომლობის და მეგობრობის დიადი ტრადიციები განაგრძეს და გააღრმავეს ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა, რომლებმაც ამ საფუძველზე შემოქმედებითად განავითარეს მარქსისტული მეცნიერება, წაიყვანეს მშრომელი ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის გზით. სოციალიზმის აშენების შედეგად ჩვენი ქვეყანა შევიდა სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის პერიოდში და წარმატებით ახორციელებს კომუნიზმის აშენების დიად ამოცანას.

**დოც. ხ. ლარცულიანი.**

## საქართველოდან გაემგზავრნენ კანადის სლავური გაზეთების რედაქტორები

თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა კანადის სლავური გაზეთების რედაქტორთა დელეგაცია, რომელიც რამდენიმე დღეს იყო სტუმრად საქართველოში. დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სსრ კავშირის სლავთა კომიტეტის მოწვევით.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს თბილისის კულტურული და ისტორიული ძეგლები, ქალაქის ახალშენებანი, ი. ბ. სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხი.

კანადის სლავურ გაზეთთა რედაქტორებს საუბარი ჰქონდათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტთან ა. ი. ჯანელიძესთან. მათ აინტერესებდათ რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საკითხები.

დელეგაცია იყო ქალაქ რუსთავში. აქ მან დაათვალიერა ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საამქროები, მუშათა ბინები, გაეცნო ქალაქის მშენებლობას.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში კანადის სლავურ გაზეთთა რედაქტორების პატივსაცემად გაიმართა ვახშამი. (საქინფორმი).

## თბილისში ჩამოვიდა პოლონელ არქიტექტორთა დელეგაცია

4 აგვისტოს სოჭიდან თბილისს ჩამოვიდა პოლონელ არქიტექტორთა დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქებისა და ოლქების მთავარი არქიტექტორები. დელეგაციას მეთაურობს პოლონელ არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ეჟი გერმტორი.

აეროდრომზე დელეგაციის წევრებს შეხვდნენ საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების კავშირის, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებისა და ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. (საქინფორმი).

**რედაქტორი ნ. ჯაში**

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 03980

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.